

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი



მაგისტრანტი : სალომე ლაშქარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი : საბანკო გარანტიის ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი რისკები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი კერძო

სამართლის მიმართულებით

დავით კერესელიძე

თბილისი 2021

## სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	4
შესავალი .....	6
თავი I - საბანკო გარანტია , როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.....	10
1.1 საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები.....	11
1.2 საბანკო გარანტიის განმარტება უნიფიცირებული წესებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.....	13
თავი II - საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტები .....	15
2.1 გარანტი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის მხარე.....	15
2.2 პრინციპალი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის მხარე.....	16
2.3 -ბენეფიციარი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის ყველაზე ძლიერი მხარე.....	17
2.4 კონტრგარანტია .....	18
III თავი - საგარანტიო ურთიერთობათა სტრუქტურა.....	19
3.1 პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება...	19
3.2 საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება .....	20
3.3 საბანკო გარანტია.....	21
3.4 არაპირდაპირი საბანკო გარანტიის სტრუქტურა .....	21
თავი IV - საგარანტიო ურთიერთობის პრინციპები .....	22
4.1 საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი.....	22
4.2 ზუსტი შესაბამისობის პრინციპი.....	24
4.3 საბანკო გარანტიის დოკუმენტბრუნვის პრინციპი .....	26
VI თავი - საბანკო გარანტიის კლასიფიკაცია.....	28
6.1 პირველივე მოთხოვნისთანავე ანუ უპირობო საბანკო გარანტიები.....	29
6.2 გარანტიები , რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენას .....	32
6.3 გარანტიები , რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას.....	32
6.4 გამოთხოვადი და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები .....	33
6.5 დაფარული და დაუფარავი საბანკო გარანტიები.....	34
6.6 ტრანსფერაბელური და არატრანსფერაბელური საბანკო გარანტიები.....	35
6.7 საბანკო გარანტიები უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით...	36
6.8 სატენდერო საბანკო გარანტია ( Tender Bond or Bid Bound).....	36
6.9 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ( Performance bond or Completion bond ).....	38

6.10 საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ( Advance Payment or Repayment Guarantee ) .....	39
6.11 დეფექტზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტია (Quality Guarantee).....	39
6.12 საბაჟო გარანტია (Customs Guarantee).....	40
6.13 სასამართლო გარანტია.....	40
თავი VII - საბანკო გარანტიის ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი შემოწმება .....	40
თავი VIII - საბანკო გარანტიის განსხვავება სხვა ურთიერთობებისგან .....	45
8.1 საბანკო გარანტია და თავდებობა .....	45
8.2 საბანკო გარანტია და აკრედიტივი.....	47
თავი IX - რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.....	48
დასკვნა .....	50
ბიბლიოგრაფია.....	56

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - სსკ

სახელშეკრულებო გარანტიათა უნიფიცირებული წესები ICC პუბლიკაცია #325 -  
URCG 325

მოთხოვნამდე გარანტიების უნიფიცირებული წესები ICC პუბლიკაცია #458 -  
URDG 458

მოთხოვნამდე გარანტიების უნიფიცირებული წესები ICC პუბლიკაცია #758 -  
URDG 758

იხილეთ - იხ.

ასე შემდეგ - ა.შ.

მაგალითად - მაგ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ

სხვა - სხვ.

## განაცხადი

„წინამდებარე განაცხადით, როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ და დამოუკიდებელ ნამუშევარს და არ შეიცავს გამოყენებულ ლიტერატურას სათანადო მითითების გარეშე . ჩემთვის ცნობილია ის შედეგები, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს აღნიშნული წესების დარღვევას, კერძოდ შედეგის ბათილად ცნობა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვა.“

სალომე ლაშქარაშვილი , 2021 წელი

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად ვითარდება საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები, რომლის როლიც ქვეყნების განვითარებაში განუზომლად დიდია. გასული საუკუნის მეორე ნახევარშიც კი შესაძლებელია წარმოუდგენელი ყოფილიყო, რომ თითოეული ადამიანისთვის შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერ წერტილში სავაჭრო თუ საბანკო ოპერაციის განხორციელება. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ აღნიშნული შეზღუდვა სრულად აღმოფხვრა, თუმცა მხარეები სხვა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, კერძოდ გაიზარდა რისკი იმისა, რომ ნაკისრი ვალდებულება არ იქნება შესრულებული. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების როლიც და მათი გამოყენება ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად აქტუალური ხდება.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევები. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კრედიტორი შესაძლოა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იმისთვის, რომ ურთიერთობის მონაწილე მხარეს ჰქონდეს დამატებითი გარანტიები, რომ მოახდენს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, კანონმდებლობა ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების არსებობას, რომელიც კრედიტორს უფლებამოსილებას ანიჭებს ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების / შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა. „უზრუნველყოფა არის კრედიტორისთვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად გამოყენების გზით. ეს უფლება კრედიტოს შესაძლოა ჰქონდეს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, ლ. ჭანტურია გვ 12 – 2012 წელი

ქართულ კერძო სამართალში მოთხოვნის უზრუნველყოფის კერძოსამართლებრივი საშუალებები სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ უზრუნველყოფის საშუალებებად იყოფა. სანივთო უზრუნველყოფის ტრადიციულ საშუალებებად გვევლინება გირავნობა და იპოთეკა. უზრუნველყოფის ეს საშუალებები კრედიტორს ანიჭებს სანივთო უფლებას კონკრეტულ ქონებაზე. <sup>2</sup> რაც შეეხება მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, ისინი იყოფიან სახელშეკრულებო (პიროვნულ) და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებად. სახელშეკრულებო უზრუნველყოფის საშუალებებს განეკუთვნებიან საბანკო გარანტია და თავდებობა. პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებებს განეკუთვნება ასევე პირგასამტეხლო , ბე და მოვალის გარანტია , თუმცა ისინი სისტემურად მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებშია დარეგულირებული. <sup>3</sup> სსკ გვაძლევს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების ფართო არჩევანს, ხოლო მხარეებს აძლევს თავისუფლებას თავად გადაწყვიტონ რომელი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას გამოიყენებენ ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს სსკ არ აწესრიგებს რაიმე კონკრეტული თავით და ისინი გვხვდებიან კოდექსის სხვადასხვა ნაწილში , მაგალითად გირავნობა / იპოთეკა გვხვდება სსკ-ს სანივთო სამართლის ნაწილში , კერძოდ ეთმობა მეექვსე თავი<sup>4</sup>, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები გათვალისწინებულია მეხუთე კარში <sup>5</sup>, ხოლო საბანკო გარანტიისა და თავდებობის დეფინიციას ვხვდებით სსკ-ს კერძო ნაწილის ოცდამეერთე და ოცდამეორე თავებში.<sup>6</sup>

აღნიშნული ნაშრომი ეხება მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და მძლავრ მოთხოვნის უზრუნველყოფის

---

<sup>2</sup> სახელშეკრულებო სამართალი ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია გვ 540 - 2014 წელი

<sup>3</sup> სახელშეკრულებო სამართალი ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია გვ 542 / შენიშვნა - 2014 წელი

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254 და 286 მუხლები

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416 მუხლი

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879 და 891 მუხლები

საშუალებას - საბანკო გარანტიას. ეს ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება , როგორც საქართველოში , ისე მის ფარგლებს გარეთ და კომერციული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება ინტერესი აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების მიმართ.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობის რეგულირება მარტივი პროცესი ნამდვილად არ არის. მისი სწორი რეგულირება საკმაოდ ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად საკანონმდებლო რეგულაციების ნაკლებობა და არაერთგვაროვანი პრაქტიკა უნდა მივიჩნიოთ . ხშირია შემთხვევები , როდესაც ძირითადი ვალდებულება ხელშეკრულების მონაწილე მხარემ შეასრულა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად , თუმცა ბენეფიციარმა მაინც მოითხოვა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მისი უფლების რეალიზება და საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა. ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება პრინციპალს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს , რადგან გარანტი აუცილებლად მოითხოვს გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურებას პრინციპალისგან. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია , როდესაც საქმე გვაქვს უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელ გარანტიებთან და იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი სათანადოდ ვერ დაიცავს საკუთარ უფლებებს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. პრაქტიკაში არსებობს მოსაზრება , რომ საბანკო გარანტიის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი , რომ ის იყოს უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი, თუმცა ყველაზე მეტად სწორედ ამგვარი გარანტია შეიცავს რისკს, რომ ბენეფიციარი არამართლზომიერად განახორციელებს მოთხოვნას და დაირღვევა პრინციპალის ინტერესები. არაერთგვაროვანი პრაქტიკა და საბანკო გარანტიის რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები გახდა აღნიშნული ნაშრომის მომზადების საფუძველი.

ნაშრომის აქტუალობა - მდგომარეობს იმაში , რომ საბანკო გარანტია , როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება



კომერციულ ურთიერთობაში მონაწილე მხარეებისთვის , როგორც შიდა ასევე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომის მიზანი - კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრის გზების ძიება. არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელებისას პრინციპალის ინტერესების დაცვა და საკითხის სწორი რეგულირება. განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებები და საერთაშორისო პრაქტიკა , წარმოდგენილია რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით .

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ისტორიული , შედარებითი , ანალიზის , ანალოგიის და სხვა მეთოდები. ამ კვლევის მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია როგორც პრობლემის გამოკვეთა , ისე მისი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება.

ნაშრომი შედგება ცხრა თავისა და ქვეთავებისგან. პირველი თავი ეხება საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, მეორე თავში განხილულია საგარანტიო ურთიერთობის სუბიექტები, მესამე თავი ეხება საგარანტიო ურთიერთობათა სტრუქტურას, ხოლო მეოთხე თავი საგარანტიო ურთიერთობის პრინციპებს, მეხუთე თავში განხილულია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა, მეექვსე თავში დეტალურადაა განხილული საბანკო გარანტიის ტიპები, მეშვიდე თავი ეხება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენას, მერვე თავში შედარებულია საბანკო გარანტია სხვა ურთიერთობებთან და განხილულია, როგორც მსგავსება, ისე განმასხვავებელი ნიშნები, ხოლო მეცხრე თავში საუბარია გარანტიის რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ის პრობლემები, რომლითაც ხასიათდება საგარანტიო ურთიერთობა და მოცემულია რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

თავი I - საბანკო გარანტია , როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

სახელშეკრულებო ურთიერთობები მხარეთა ნდობაზეა დაფუძნებული , თუმცა ყოველთვის არსებობს რისკი , რომ რომელიმე მხარემ შესაძლოა ვერ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები . აღნიშნული შესაძლოა მხარეთა ბრალეული ქმედებით არ იყოს გამოწვეული და უკავშირდებოდეს ისეთ გარემოებებს , რომლის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელია. შესაბამისად ნდობა , რომელიც მხარეებს გააჩნდათ შესაძლოა გაცრუვდეს. იმისთვის , რომ ხელშეკრულების მონაწილემა მხარეებმა თავი დაცულად და სტაბილურად იგრძნონ ნდობის გარდა სხვა დამატებითი გარანტიებიც სჭირდებათ . სწორედ ასეთი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით , სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები , რომელიც წინასწარ უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივ ინტერესს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სხვადასხვა გარანტიის შექმნით. <sup>7</sup>

უზრუნველყოფის საშუალებების ძირითადი მიზანი კრედიტორთა ინტერესების დაცვაა. სწორად შერჩეული უზრუნველყოფის საშუალება იძლევა კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტიას , რაც უმნიშვნელოვანესია კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისთვის. <sup>8</sup>

საბანკო გარანტია , როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, ფართოდაა გავრცელებული. „879-ე მუხლის მიხედვით საბანკო გარანტიის საფუძველზე ბანკი , სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას პრინციპალის კრედიტორის ( ბენეფიციარის ) სასარგებლოდ.“ <sup>9</sup> „საბანკო გარანტია თავისი არსით წარმოადგენს სხვა

<sup>7</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - 539 გვ 2014 წელი

<sup>8</sup> ლ. ჭანტურია , კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 34 - 2012 წელი

<sup>9</sup> ლ. ჭანტურია , კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 204 - 2012 წელი

ხელშეკრულების ფარგლებში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. “<sup>10</sup>

უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით საბანკო გარანტია კრედიტორის უფრო სწრაფად დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ განსაკუთრებით ხელსაყრელია ბენეფიციარისთვის.<sup>11</sup> საბანკო გარანტიის სხვა მონაწილეებთან შედარებით ბენეფიციარს საკმაოდ ძლიერი სამართლებრივი პოზიცია აქვს.<sup>12</sup>

### 1.1 საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები

საბანკო გარანტია გამომდინარეობს ესპანური სიტყვიდან „GARANTE“, რაც გულისხმობს „პიროვნებას, რომელიც გაცემს უზრუნველყოფას“. <sup>13</sup> მისი დანერგვა და განვითარება პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო, თუმცა მისი პირველი ჩანასახი რომის სამართალშიც არსებობდა.<sup>14</sup> სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების გარდა, მისი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული უნიფიცირებული წესებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის „დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე. ძირითადი როლი საბანკო გარანტიის რეგულირების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაში ეკუთვნის საერთაშორისო სავაჭრო პალატას. მისი 1978 წლის პუბლიკაცია No325 უნიფიცირებული წესები სახელშეკრულებო გარანტიებისათვის (ICC Uniform Rules for Contract Guarantees) და 1992 წლის პუბლიკაცია No 458 უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებისათვის /ICC Uniform Rules for Demand Guarantees უმნიშვნელოვანესია საგარანტიო ურთიერთობების უნიფიკაციის კუთხით.<sup>15</sup> რაც

<sup>10</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის # 28/584-14

<sup>11</sup> ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 206 - 2012 წელი

<sup>12</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 568 - 2014 წელი

<sup>13</sup> <https://www.tradefinanceglobal.com/posts/what-is-a-bank-guarantee/> last seen 31.08.2021

<sup>14</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები“ გვ 12 - 2018 წელი

<sup>15</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 879

შეეხება უნიფიცირებული წესების #758-ე პუბლიკაციას, No 758 უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებისათვის /ICC Uniform Rules for Demand Guarantees , ის ყველაზე მეტად პასუხობს თანამედროვე პრაქტიკის გამოწვევებს და უფრო მეტი სიზუსტით გამოირჩევა. URDG 758-ე რედაქცია ამოქმედდა 2010 წლის 1 ივლისს და დღემდე აქტიურად გამოიყენება. ეს პუბლიკაცია მკაფიოდ განსაზღვრავს გარანტიის დოკუმენტურ ხასიათს და მის სამართლებრივ შედეგებს. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის კონვენციას „საბანკო გარანტიებისა და დამოუკიდებელი აკრედიტივების შესახებ „ მიღებულ იქნა 1995 წლის 11 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2000 წლის 01 იანვრიდან .<sup>16</sup> კონვენცია არეგულირებს დამოუკიდებელ გარანტიებთან და რეზერვულ აკრედიტივებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და საბანკო გარანტიას განმარტავს, როგორც დამოუკიდებელ არააქცესორულ ვალდებულებას, რომელიც დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისგან .

დამოუკიდებელ საქართველოში პირველად საბანკო გარანტიის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა 1997 წლის 26 ივნისიდან. პირველად ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი ძირითადი განმარტება თითქმის არ შეცვლილა.<sup>17</sup> რთული წარმოსადგენია, რომ 1997 წელს მიღებული ნორმები შესაძლებელია პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და სრულად გვაძლევდეს პრობლემური საკითხების რეგულირების შესაძლებლობას. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად შესაძლოა სწორედ საკანონმდებლო ნორმების ნაკლებობა მივიჩნიოთ.

გაეროს კონვენცია უნიფიცირებულ წესებთან ერთად საბანკო გარანტიის რეგულირების უმნიშვნელოვანესი წყაროა . მათთან ერთად რეგულირების პროცესში სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაც გამოიყენება , რომელიც

---

<sup>16</sup> DR. FILIP DE LY - The UN Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit – page 831 - <https://scholar.smu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1931&context=til>

<sup>17</sup> <file:///C:/Users/slashkarashvili/Downloads/4768-Article%20Text-13984-1-10-20141229.pdf> last seen 31.08.2021

განსხვავებულ წესებსაც ითვალისწინებს , თუმცა ძირითადი პრინციპები ყველასთვის საერთოა.

## 1.2 საბანკო გარანტიის განმარტება უნიფიცირებული წესებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

საბანკო გარანტიის განმარტება მოცემულია უნიფიცირებული წესების სამივე რედაქციაში . URCG N325 რედაქცია გვთავაზობს, როგორც სატენდერო გარანტიის, ასევე შესრულებისა და გადახდის გარანტიის განმარტებებს. URCG 325 მიხედვით სატენდერო გარანტია ნიშნავს ტენდერში მონაწილე მხარის ან სხვა პირის თხოვნით ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა მხარის მიერ აღებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც გარანტი ვალდებულია პრინციპალის მიერ ტენდერით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაუხადოს პრინციპალის კრედიტორს განსაზღვრული თანხა. <sup>18</sup>

URDG 458-ის მიხედვით „საბანკო გარანტია ნიშნავს, ნებისმიერ გარანტიას ან გადახდის შესახებ შეტყობინებას, რომელიც გაცემულია ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ , რომელიც კისრულობს გადახდის ვალდებულებას წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში“<sup>19</sup>, ხოლო URCG 758-ე პუბლიკაციის მიხედვით „ საბანკო გარანტია არის ნებისმიერი ხელმოწერილი ვალდებულება , რომელიც დასახელებულია , აღწერილია და ითვალისწინებს გადახდას შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში“ <sup>20</sup>

სსკ-ს 879-ე მუხლის თანახმად „ საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა , რომლის შესრულებასაც პრინციპალის თხოვნით გარანტი წერილობით კისრულობს ბენეფიციარის წინაშე ბენეფიციარის მხრიდან ფულადი თანხის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“ <sup>21</sup> გარანტია ყოველთვის ეხება იმ მოვლენას , რომელიც მომავალში დადგება . <sup>22</sup> URCG 325,

<sup>18</sup> <http://lawinfochina.com/display.aspx?id=288&lib=tax&SearchKeyword=&SearchCKeyword=> UNIFORM RULES FOR CONTRACT GUARANTEES ARTICLE 2

<sup>19</sup> URCG – 458 article 2

<sup>20</sup> <http://www.cipic-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf> URCG 758

<sup>21</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელმწიფო სამართალი - გვ 568 – 2014 წელი

<sup>22</sup> ლ. ჭანტურია კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 205 – 2012 წელი

URDG 458 და სსკ-ს დეფინიციებში მოცემულია იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ საბანკო გარანტიის გაცემა, ხოლო URDG 758 არ ადგენს გარანტიის გაცემაზე სპეციალურად უფლებამოსილ პირთა წრეს, ანუ გარანტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი. უნდა აღინიშნოს, რომ URDG 758-ე პუბლიკაციასთან შედარებით სსკ გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრის დაკონკრეტებით უფრო მეტად დაცულს ხდის ბენეფიციარს. ბანკი, სხვა საკრედიტო ან სადაზღვევო ორგანიზაციები არიან სუბიექტები, რომელიც ექვემდებარებიან ლიცენზირებას. ბანკისა და სხვა საკრედიტო დაწესებულების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.<sup>23</sup> სადაზღვევო ორგანიზაციების ზედამხედველობა კი ხორციელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. სხვა საკრედიტო დაწესებულების ზუსტ დეფინიციას სსკ და ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონი არ იძლევა. ალბათ საკრედიტო დაწესებულებად უნდა მივიჩნიოთ ის სუბიექტები, რომლის ზედამხედველობასაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს, მაგალითად მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება და ა.შ. უკეთესი იქნებოდა თუ ნორმაში გვექნებოდა ზუსტი დეფინიცია ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში. ქართულ პრაქტიკაში ძირითადად ვხვდებით ბანკისა და სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებს. სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია პრაქტიკულად არ გვხვდება. გარანტიის გამცემი სუბიექტები არიან საკმაოდ მძლავრი ინსტიტუტები, რაც ბენეფიციარისთვის დამატებითი გარანტიაა იმის, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და გარანტი არ აღმოჩნდება გადახდისუუნარო. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრე არ უნდა იყოს შეზღუდული<sup>24</sup>, თუმცა ამგვარი შეზღუდვა ბენეფიციარის

<sup>23</sup> საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ - მუხლი 3

<sup>24</sup> გაბისონია ზ. საბანკო სამართალი გვ 237 – 2012 წელი

ინტერესების უკეთ დაცვის და ფინანსური რისკის გათვალისწინებით გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ .

სამოქალაქო კოდექსში მოცემული საბანკო გარანტიის განმარტება შესაბამისობაშია საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან . საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ნორმების სამოქალაქო კოდექსში არსებობა დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ , რადგან სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის განმარტებას , მაგალითად გერმანიის, ჰოლანდიის და იტალიის სამოქალაქო კოდექსი . მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმები არ არის საკმარისი კომერციული ურთიერთობების სრულყოფილად რეგულირებისთვის მათი როლი მაინც საკმაოდ დიდია.

## თავი II - საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტები

საბანკო გარანტიის ცნების განმარტებისას დგინდება იმ კონკრეტულ პირთა წრე, ვინც შეიძლება იყოს გარანტიის გამცემი . როგორც წესი საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილეობს სამი სუბიექტი - გარანტი , პრინციპალი და ბენეფიციარი , თუმცა საგარანტიო ურთიერთობაში შესაძლოა მეოთხე სუბიექტიც კერძოდ კონტრგარანტი იყოს ჩართული . კონტრგარანტიის გაცემა ძირითადად საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში ხდება.

### 2.1 გარანტი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის მხარე

საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე გარანტიის გამცემ სუბიექტებს სპეციალური სუბიექტები უნდა ვუწოდოთ , რადგან მხოლოდ მათ აქვთ გარანტის როლში გამოსვლის უფლება. <sup>25</sup> URCG N325-ის მიხედვით პირდაპირ არ არის განსაზღვრული თუ ვინ არიან გარანტიის გამცემი სუბიექტები, თუმცა სატენდერო, შესრულების და გადახდის გარანტიის დეფინიციიდან გამომდინარე გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, სადაზღვევო დაწესებულება ან სხვა პირი, რომელიც პრინციპალის თხოვნით კისრულობს პრინციპალის კრედიტორისთვის

---

<sup>25</sup> ლ. ჭანტურია კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 207 – 2012 წელი



თანხის გადახდის ვალდებულებას.<sup>26</sup> დაახლოებით იგივენაირად არის განმარტებული შესრულების და გადახდის გარანტიებიც. ასეთივე დეფინიციას ვხვდებით URDG N 458-ში<sup>27</sup>, ხოლო URDG N758 მიხედვით „ გარანტი არის გარანტიის გამცემი სუბიექტი და მოიცავს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით „<sup>28</sup>.

საბანკო გარანტიის გაცემით გარანტი კისრულობს პასუხისმგებლობას , რომ პრინციპალის მიერ ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას გადაიხდის გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, ისე, რომ მას პირადად არ მიუძღვის ბრალი ძირითადი ვალდებულების დარღვევაში. გარანტს მხოლოდ თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება და არა დარღვეული ვალდებულების შესრულების.

## 2.2 პრინციპალი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის მხარე

პრინციპალი არის ძირითად ვალდებულების მონაწილე მხარე, რომლის თხოვნით გარანტი გასცემს საბანკო გარანტიას ბენეფიციარის სასარგებლოდ. პრინციპალი ძირითადი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულების შესრულებას ბენეფიციარის მიმართ და შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტი გასცემს საგარანტიო თანხას ბენეფიციარის სასარგებლოდ. საბანკო გარანტია სწორედ პრინციპალისთვის არის მომატებული საფრთხის მქონე, რადგან პრინციპალია იმ რისკის მატარებელი, რომ ბენეფიციარი იმ შემთხვევაშიც შეძლებს საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის მიღებას, როდესაც ძირითადი ვალდებულება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არ წარმოშობილა, მთლიანად შესრულდა , შეწყდა ან ბათილია.<sup>29</sup> სწორედ ამ რისკის გამო , პრინციპალი საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე ყველაზე სუსტ მხარედ უნდა მივიჩნიოთ. არსებობს რისკი , რომ ბენეფიციარმა შესაძლოა არამართლზომიერად

---

<sup>26</sup> იხ URDG N325 მუხლი 2

<sup>27</sup> იხ URDG N458

<sup>28</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები . გვ 44 - 2018 წელი

<sup>29</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 569 - 2014 წელი



მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პრინციპალს მოუწევს რეგრესის წესით მოთხოვნილი თანხის ანაზღაურება. გარანტის დაკმაყოფილების შემდეგ ყველა სადავო საკითხის გარკვევა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ხდება. ამ დროისთვის შესაძლოა ბენეფიციარი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს და ვერ დააბრუნოს უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა, რაც საკმაოდ დიდი რისკია პრინციპალისთვის.<sup>30</sup> პრინციპალი შესაძლოა იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი.

URCG 325 და URDG 458 გვხვდება ტერმინილი პრინციპალი, ისევე როგორც სსკ-ში, თუმცა URDG 758 პრინციპალს უწოდებს აპლიკანტს, რომელიც გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მქონე სუბიექტია.<sup>31</sup>

### 2.3 -ბენეფიციარი , როგორც საგარანტიო ურთიერთობის ყველაზე ძლიერი მხარე

ბენეფიციარი საგარანტიო ურთიერთობის ყველაზე ძლიერ სუბიექტს წარმოადგენს. მისთვის საგარანტიო ურთიერთობა ყველაზე მეტად ხელსაყრელია, რადგან საბანკო გარანტიიდან მნიშვნელოვანი რისკები ბენეფიციარისთვის არ გამომდინარეობს . საგარანტიო ურთიერთობაში მას ყველაზე ძლიერი სამართლებრივი პოზიცია აქვს, რადგან მას გააჩნია მოთხოვნა და მხოლოდ საგარანტიო პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება ეკისრება.<sup>32</sup> ბენეფიციარი არის , როგორც ძირითადი ვალდებულების , ასევე საგარანტიო ურთიერთობის კრედიტორი. URDG 758 განსაზღვრავს, რომ ბენეფიციარი არის პირი, რომლის სასარგებლოდაც არის გაცემული საბანკო გარანტია.<sup>33</sup> როგორც პრინციპალის შემთხვევაში, ბენეფიციარიც შესაძლოა იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. როდესაც საქმე გვაქვს სახელმწიფო ტენდერებთან ბენეფიციარის როლში შესაძლოა ვიხილოთ სახელმწიფოც.

„სახელმწიფო ტენდერებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ბენეფიციარი არის

<sup>30</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელმწიფო საერთაშორისო - გვ 569 – 2014 წელი

<sup>31</sup> <http://www.cipic-bragadin.com/wp-content/uploads/2015/09/ICC-URDG-758.pdf> URDG 758 მუხლი 2

<sup>32</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელმწიფო საერთაშორისო - გვ 568 – 2014 წელი

<sup>33</sup> Beneficiary means the party in whose favor a guarantee is issued

საბიუჯეტო ორგანიზაცია , რომელიც ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების განკარგვით, შესაბამისი საჭიროებების არსებობის დროს , ახდენს შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებას და მისგან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფისთვის ითხოვს საბანკო გარანტიას.“<sup>34</sup>

## 2.4 კონტრგარანტია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვერ შევხვდებით კონტრგარანტიის დეფინიციას , თუმცა URDG N 758 და გაეროს კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს კონტრგარანტიის შესახებ ჩანაწერს. აღნიშნული განპირობებულია იმით , რომ კონტრგარანტიის გამოყენება ძირითადად ხდება საერთაშორისო დონეზე, მაშინ როდესაც ბენეფიციარი და პრინციპალი სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან და ბენეფიციარისთვის შერჩეული გარანტი არ არის მისაღები. როდესაც ბენეფიციარს სურს, რომ გარანტია გაფორმდეს მის ქვეყანაში არსებული ბანკის მიერ და პრინციპალი უშუალოდ არ თანამშრომლობს ამ ბანკთან , ასეთ დროს პრინციპალი მიმართავს თავის ბანკს ( გარანტს ) , რომ ბანკი ( პრინციპალის გარანტი ) დაუკავშირდეს ბენეფიციარის ბანკს ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე.<sup>35</sup> ასეთ დროს პრინციპალის გარანტის მიერ ბენეფიციარის გარანტისთვის მიცემული საბანკო გარანტია ითვლება კონტრგარანტიად. კონტრგარანტია გაიცემა პრინციპალის პარტნიორი ბანკის (კონტრგარანტი ) ბენეფიციარის პარტნიორი ბანკის სასარგებლოდ . კონტრგარანტიის ანუ არაპირდაპირი გარანტიის დროს საქმე გვაქვს დამატებით კონტრაქტთან , რომელიც ფორმდება პრინციპალის გარანტსა და ბენეფიციარის გარანტს შორის.<sup>36</sup> „კონტრგარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ კონტრგარანტის მიერ გარანტისათვის გადახდილი თანხის ანაზრაურებას , ხოლო კონტრგარანტის

<sup>34</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები . გვ 48 – 2018 წელი

<sup>35</sup> SELECTIVE LEGAL ASPECTS OF BANK DEMAND GUARANTEES MICHELLE KELLY-LOUW page 24 – 2008

<sup>36</sup> იქვე <http://uir.unisa.ac.za/bitstream/handle/10500/1350/thesis.pdf> last seen 01.09.2021

წინაშე რეგრესის წესით პასუხისმგებელი კვლავ პრინციპალი რჩება.“<sup>37</sup>  
კონტრგარანტია არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე , მასში აღინიშნება ძირითადი ვალდებულების შესახებ, მაგრამ ამით არ იცვლება კონტრგარანტიის დამოუკიდებელი ბუნება. ის მთლიანად დამოკიდებულია კონტრგარანტისა და გარანტის შორის წარმოშობილ ურთიერთობაზე .<sup>38</sup>  
კონტრგარანტიაში ხდება როგორც გარანტიის ტექსტის , ასევე კონტრგარანტიის ტექსტის მითითება , ამიტომ კონტრგარანტიები ბევრად აღემატება გარანტიის მოცულობას.<sup>39</sup>

### III თავი - საგარანტიო ურთიერთობათა სტრუქტურა

პირდაპირ საგარანტიო ურთიერთობაში გვაქვს სამი სახის სამართლებრივად დამოუკიდებელი გარიგება.

ა ) ძირითადი ხელშეკრულება , რომელიც გაფორმებულია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის .

ბ ) პრინციპალსა და გარანტს შორის არსებული ხელშეკრულება , რომელიც თავდაპირველად ფორმდება

გ ) გარანტის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის გაცემა

#### 3.1 პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება

პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრულია საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულება. ამავე ხელშეკრულებაში ხდება საბანკო გარანტიის პირობების განსაზღვრაც, მაგ. საგარანტიო თანხის ოდენობა, იმ ბანკის დასახელება , რომლის მიერ გაცემული გარანტიაც მისაღები იქნება ბენეფიციარისთვის , საგარანტიო შემთხვევა და ა.შ.<sup>40</sup>

<sup>37</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები . გვ 49 – 2018 წელი

<sup>38</sup> ნინო ჭიპაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით გვ 133 - 2015 წელი

<sup>39</sup> ნინო ჭიპაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით გვ 212 – 2015 წელი

<sup>40</sup> ლ. ჭანტურია კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 211 – 2012 წელი

ბენეფიციარს შეუძლია არ მიიღოს სხვა ბანკის მიერ გაცემული ან შეთანხმებული პირობების დარღვევით წარმოდგენილი გარანტია. გარანტიის მიღებით ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას მის პირობებზე.

### 3.2 საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება

საბანკო გარანტიის გაცემის მიზნით პრინციპალი უკავშირდება გარანტს, თუმცა თავდაპირველად მათ შორის ფორმდება საბანკო გარანტიის გაცემის ხელშეკრულება. საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია განსხვავდება ერთმანეთისგან. <sup>41</sup> საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება ორმხრივ, სასყიდლიან და სინალაგმატურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება. სინალაგმატური ბუნება მხარეებისათვის ურთიერთშემხვედრ უფლება-მოვალეობებში გამოიხატება, კერძოდ გარანტი წინასწარ განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ ( საზღაურის მიღების უფლება ) კისრულობს ვალდებულებას, რომ გასცემს საბანკო გარანტიას, ხოლო პრინციპალი უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტს საბანკო გარანტიის გაცემა და ვალდებულია გადაიხადოს საზღაური საბანკო გარანტიის გაცემისთვის. <sup>42</sup>

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულებით ხდება პირობების განსაზღვრა, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის გაცემა. გარანტმა უნდა იხელმძღვანელოს პრინციპალის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. მას არ აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს საბანკო გარანტიის პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარანტს ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პრინციპალისგან. <sup>43</sup> ამ ხელშეკრულებით ხდება გარანტის მიერ გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების საკითხის განსაზღვრაც. გარანტიის გაცემის ხელშეკრულება საბანკო გარანტიისგან განსხვავებით ფორმასავალდებულო არ არის. ის შეიძლება გაიცეს, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით.

<sup>41</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 570 – 2014 წელი

<sup>42</sup> კ. ხოტენაშვილი საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები გვ 19 – 2015 წელი

<sup>43</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 570 – 2014 წელი

### 3.3 საბანკო გარანტია

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და მასში განსაზღვრული პირობების შესრულების შემდეგ, გარანტი გაცემს საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიაში ხდება გარანტის, პრინციპალის და ბენეფიციარის ვინაობის მითითება, ასევე მითითებულია იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხდება გარანტის გაცემა. საბანკო გარანტიაში ასევე უნდა მიეთითოს თანხის ის მაქსიმალური ოდენობა, რომლის გადახდაც გარანტს ეკისრება იმ შემთხვევაში თუ დადგება საგარანტიო შემთხვევა, რომელიც ასევე საბანკო გარანტიით უნდა იყოს განსაზღვრული. საბანკო გარანტია აუცილებლად უნდა შეიცავდეს მისი ძალაში შესვლის თარიღს ან მითითებას იმ მოვლენაზე, რომლის დადგომის შემდეგაც საბანკო გარანტია ძალაში შედის. საგარანტიო მოქმედების ვადის მითითება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან სწორედ ამ ვადის გასვლამდე აქვს ბენეფიციარს უფლება მოითხოვოს საგარანტიო თანხის გადახდა. ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია. გარანტიაშივე ხდება ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის წარდგენის ფორმის და თანდართული დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრა. იმ შემთხვევაშიც თუ წარდგენილი მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიაში მითითებულ ფორმას და არ ერთვის განსაზღვრული დოკუმენტები გარანტს უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა.<sup>44</sup>

საბანკო გარანტიის გაცემის ფაქტი არის საფუძველი ბენეფიციარსა და გარანტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისა. გარანტიის გაცემამდე მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.

### 3.4 არაპირდაპირი საბანკო გარანტიის სტრუქტურა

სტანდარტული საგარანტიო ურთიერთობისგან განსხვავებით არაპირდაპირი გარანტიის დროს საგარანტიო ურთიერთობაში ოთხი სუბიექტი მონაწილეობს : გარანტი , კონტრგარანტი , ბენეფიციარი და პრინციპალი.

<sup>44</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 572 – 2014 წელი

არაპირდაპირ საგარანტიო ურთიერთობაში გვხვდება ოთხი სახის სამართლებრივად დამოუკიდებელი გარიგება.

ა) ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის

ბ) გარანტიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ბენეფიციარის სასარგებლოდ

გ) კონტრგარანტია, რომელიც გაცემულია კონტრგარანტის მიერ გარანტის სასარგებლოდ

დ) საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია პრინციპალსა და კონტრგარანტს შორის.

საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მსგავსად პრინციპალსა და კონტრგარანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავს მითითებას რეგრესის წესით კონტრგარანტისთვის კონტრანაზღაურების გაცემის შესახებ.<sup>45</sup>

#### თავი IV - საგარანტიო ურთიერთობის პრინციპები

საგარანტიო ურთიერთობაში რამდენიმე ძირითადი პრინციპი მოქმედებს, კერძოდ: საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი, ზუსტი შესაბამისობის პრინციპი<sup>46</sup> და დოკუმენტბრუნვის პრინციპი<sup>47</sup>. აღნიშნული პრინციპები გამოარჩევს საბანკო გარანტიას მოთხოვნის სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან<sup>48</sup>.

#### 4.1 საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი

საბანკო გარანტია არააქცესორულ ვალდებულებათა რიცხვს მიეკუთვნება. უნიფიცირებულ წესებთან URDG N458 და URDG N758 ერთად, სსკ-ც მას

<sup>45</sup> SELECTIVE LEGAL ASPECTS OF BANK DEMAND GUARANTEES MICHELLE KELLY-LOUW page 25 - 2008

<sup>46</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები“. გვ - 2018 წელი

<sup>47</sup> ჭანტურია ლ კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 216 – 2012 წელი

<sup>48</sup> ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია სახელშეკრულებო სამართალი - გვ 576 – 2014 წელი



დამოუკიდებელ ვალდებულებად მიიჩნევს. „სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება - ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტიის, როგორც დამოუკიდებელი ვალდებულების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გარანტს არ შეუძლია ბენეფიციარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომელიც შესაძლოა გააჩნდეს პრინციპალს გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარე“<sup>49</sup>

დამოუკიდებლობის პრინციპის არსი განსაკუთრებით ნათელია უპირობო გარანტიების შემთხვევაში. უპირობო გარანტიის შემთხვევაში ბენეფიციარი უფლებამოსილია მიიღოს თანხა პირველივე მოთხოვნისთანავე, შესაბამისად, ბანკმა უნდა გადაიხადოს თანხა ყოველგვარი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, რის შემდეგაც პრინციპალმა უნდა აანზღაუროს გარანტის მიერ გადახდილი თანხა. გარანტის ვალდებულება დამოუკიდებელია როგორც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ძირითადი ვალდებულებისგან, ისე გარანტსა და პრინციპალს შორის არსებული ურთიერთობისგან.

როგორც აღინიშნა, გარანტს არ შეუძლია ბენეფიციარს წაუყენოს ის შესაგებელი, რომელიც შესაძლოა გააჩნდეს პრინციპალს გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარე. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს გარანტის მიერ შესაგებლის წარდგენას, რომელიც უშუალოდ გარანტსა და ბენეფიციარს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, მაგ. გარანტს შეუძლია წარადგინოს შესაგებელი თუ მას მოთხოვნა წარედგინა საბანკო გარანტიაში მითითებული მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ და ა.შ.

გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი არ რის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს ბენეფიციარის მხრიდან არაკეთილსინდისიერების

---

<sup>49</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე #28 3772-14 გვ 24

შემთხვევაში . დამოუკიდებლობის პრინციპის საერთაშორისოდ აღიარებულ გამონაკლისს წარმოადგენს არამართლზომიერი მოთხოვნა.<sup>50</sup> სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებულ საბანკო გარანტიის მუხლებში ვერ ვხვდებით ჩანაწერს საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპის შეზღუდვის შესახებ ბენეფიციარის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში . ზოგადად, კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება შეფასების საგანს წარმოადგენს და არაკეთილსინდისიერი ქმედების დამტკიცება მარტივი არ არის, მითუმეტეს, როდესაც მსგავსი ზოგადი ჩანაწერიც კი არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, რადგან არამართლზომიერი მოთხოვნა საერთაშორისოდ აღიარებულ გამონაკლისს წარმოადგენს , უმჯობესი იქნება თუ სამოქალაქო კოდექსშიც მოხდება აღნიშნულის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება.

#### 4.2 ზუსტი შესაბამისობის პრინციპი

ზუსტი შესაბამისობის პრინციპი როგორც საბანკო გარანტიის, ისე დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. მისი დაცვა ბენეფიციარის ვალდებულებაა და განსაკუთრებით ხელსაყრელია პრინციპალისთვის, რადგან მინიმუმამდე ამცირებს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების რისკებს. „ამ პრინციპის შესაბამისად ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად შესაბამისი უნდა იყოს საბანკო გარანტიით განსაზღვრულ პირობებთან და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები.“<sup>51</sup>

„ზუსტი შესატყვისობის დოქტრინა (doctrine of strict compliance) პირველად დაამკვიდრა ვისკონტის ლორდთა პალატის სასამართლომ ერთ-ერთი სასამართლო განხილვის დროს : არ არსებობს ოთახი დოკუმენტებისათვის, რომელიც ზუსტად იდენტურად შექმნის მათ. ბანკის ფილიალი საზღვარგარეთ, რომელიც ვერ ერკვევა აკრედიტივით დაფინანსებულ ბიზნესტრანზაქციის

<sup>50</sup> K. Alawamleh – Documentary credits and Independent guarantees : A critique of the “Fraud Exception “ position in English and Jordanian law 2013

<sup>51</sup> სამართლის ჟურნალი N2 , ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნების მიმოხილვა დამოუკიდებლობისა და ზუსტი შესაბამისობის პრინციპებთან მიმართებით გვ 47 – 2017 წელი



დეტალებში, ვერ აიღებს თავის თავზე იმის გადაწყვეტილებას თუ რა დოკუმენტები იქნება კარგი და ცუდი ტრანზაქციისთვის. თუ ბანკი შეასრულებს იმას, რაც ევალება აკრედიტივის დროს, მაშინ იგი დაცული იქნება, ხოლო თუ გადაუხვევს თავის უფლებამოსილებას და დაიწყებს დოკუმენტების სამართლებრივ შეფასებას, მაშინ ბანკი მოქმედებს თავისი რისკით და თავის თავზე იღებს ტრანზაქციის განხორციელების რისკებს.“<sup>52</sup>

ზუსტი შესაბამისობის პრინციპი განსაზღვრულია URDG 758-ე პუბლიკაციითაც, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის „სათანადო წარდგენა“ და „სათანადო მოთხოვნა“.<sup>53</sup>

აღნიშნული პრინციპი გათვალისწინებულია სსკ-შიც, კერძოდ სსკ-ს 885-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.“<sup>54</sup> გარანტი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზუსტი შესაბამისობის პრინციპის დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა. სსკ-ს 885-ე მუხლი არის იმპერატიული ხასიათის და პირდაპირ ავალდებულებს ბენეფიციარს მოთხოვნა წარადგინოს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. აღნიშნული მუხლიდან ბუნდოვანი რჩება საკითხი თუ როგორ უნდა მოხდეს ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა, როდესაც გარანტის მიერ გაცემულია უპირობო საბანკო გარანტია. ამ პრობლემას პირობითი და უპირობო საბანკო გარანტიის განხილვისას დავუბრუნდები.

---

<sup>52</sup> [https://www.researchgate.net/profile/Giorgi-Amilakhvari/publication/341567342\\_g\\_amilakhvari\\_saertashoriso\\_akreditivis\\_samartlebrivi\\_buneba/links/5ec77d58a6fdcc90d68caa70/g-amilakhvari-saertashoriso-akreditivis-samartlebrivi-buneba.pdf](https://www.researchgate.net/profile/Giorgi-Amilakhvari/publication/341567342_g_amilakhvari_saertashoriso_akreditivis_samartlebrivi_buneba/links/5ec77d58a6fdcc90d68caa70/g-amilakhvari-saertashoriso-akreditivis-samartlebrivi-buneba.pdf) გიორგი ამილახვარი, საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება გვ 99 – 2020 წელი

<sup>53</sup> იხ URDG 758 მუხლი 15

<sup>54</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 885

#### 4.3 საბანკო გარანტიის დოკუმენტბრუნვის პრინციპი

საბანკო გარანტიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის პრინციპი. ბენეფიციარს ეკისრება ვალდებულება მოთხოვნის წარდგენისას მოთხოვნას თან დაურთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება გარანტიის პირობებს გარანტი ახდენს საგარანტიო თანხის ბენეფიციარის სასარგებლოდ გადახდას. ამასთან გარანტი არ არის ვალდებული შეამოწმოს მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის ავთენტურობა, ის მხოლოდ ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას საბანკო გარანტიასთან.

აღნიშნული პრინციპიც საერთოა საბანკო გარანტიებისა და დოკუმენტური აკრედიტივისთვის. „დოკუმენტური აკრედიტივის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა მისი დოკუმენტური ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, რომ აკრედიტივის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა მხარე დაკავშირებულია დოკუმენტების მოძრაობასთან და არა თავად საქონელთან, რაზეც მყიდველსა და გამყიდველს შორის დადებულია ძირითადი გარიგება, სადაც ანგარიშსწორების ფორმად აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს აკრედიტივის გამოყენება.“<sup>55</sup>

#### V თავი - საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი ვალდებულებისგან ისიც ადასტურებს, რომ საბანკო გარანტია არ არის დამოკიდებული ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. ის შესაძლოა იყოს ძირითადი ხელშეკრულების ვადის იდენტური ან მეტი / ნაკლები. გარანტიის ვადა უშუალოდ საბანკო გარანტიითაა განსაზღვრული და ვადაზე მითითება საბანკო გარანტიის არსებით ნაწილს წარმოადგენს. „ ამ ვადის გასვლის შემდგომ საბანკო გარანტია ბენეფიციარისთვის უვარგისი ხდება , რადგან ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დასრულებამდე , რა ვადითაც იგი გაიცა „<sup>56</sup>

<sup>55</sup> გიორგი ამილახვარი , საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება გვ 78 – 2020 წელი

<sup>56</sup> ჭანტურია ლ კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 217 – 2012 წელი

გარანტიაში შესაძლოა არ იყოს მითითებული მოქმედების კონკრეტული ვადა. ის შესაძლოა გაცემული იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადით, მაგრამ ძირითადი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ამ შემთხვევაშიც კი არ იწვევს გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას. გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება გარანტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.<sup>57</sup>

საბანკო გარანტიის ვადასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულად მიიჩნია კასატორის მოსაზრება, რომ მასსა ( ბენეფიციარს ) და პრინციპალს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების გაგრძელებით ავტომატურად გაგრძელდა საბანკო გარანტიის ვადა. აღინიშნა, რომ როდესაც მხარეები უთითებენ საბანკო გარანტიის მოქმედების კონკრეტულ ვადას ამ პირობის შეცვლა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა რაიმე გარეგან ფაქტორზე, რადგან საბანკო გარანტიის გაცემა მხოლოდ გარანტის ნამდვილ ნებაზეა დამოკიდებული.<sup>58</sup>

პრაქტიკაშია ხშირია შემთხვევები, როდესაც საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში შედის ცვლილება.<sup>59</sup> საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ალტერნატიული მოთხოვნა „გაგრძელე ან გადაიხადე“ ( Extend or Pay ), რომელსაც ბენეფიციარი წარუდგენს გარანტს. URDG N458 და N758 პუბლიკაცია ითვალისწინებს აღნიშნულ ალტერნატივას. მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, მაგ. ძირითადი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. როდესაც გარანტი მიიღებს „გაგრძელე ან გადაიხადე“, მოთხოვნას ის ვალდებულია დაყოვნების გარეშე აცნობოს პრინციპალს ალტერნატიული მოთხოვნის მიღების შესახებ და უნდა დააყოვნოს გადახდა იმ გონივრული ვადით, რაც საჭიროა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის შეთანხმების მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში გვაქვს რამდენიმე

---

<sup>57</sup> იქვე

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # ას-562-871-09

<sup>59</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # ას-786-1073-09, რომელიც ეხება ისეთ საბანკო გარანტიას, რომლის მოქმედების ვადაში შევიდა ცვლილება.

ალტერნატიული ვარიანტი , კერძოდ პრინციპალი შესაძლოა დაეთანხმოს ვადის გაგრძელებას , მეორე შემთხვევაში შესაძლოა უარყოს აღნიშნული პირობა და ასეთ დროს გარანტი ვალდებულია თუ მოთხოვნა არ არის არამართლზომიერი გადაიხადოს საგარანტიო თანხა , მესამე შემთხვევაში კი შესაძლოა თავად ბენეფიციარმა თქვას უარი მოთხოვნაზე.<sup>60</sup>

სსკ არ ითვლისწინებს ალტერნატიული მოთხოვნის შესახებ ჩანაწერს და არ არის მოწესრიგებული საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების საკითხი. აღნიშნული არსებული კანონმდებლობის პრობლემად უნდა მივიჩნიოთ. საკანონმდებლო რეგულაციის არ არსებობის გამო პრაქტიკაში შესაძლოა ვადის გაგრძელების საკითხის მოწესრიგება ბუნდოვანი იყოს მხარეებისთვის და შესაძლოა არსებობდეს არაერთგვაროვანი მოწესრიგება. აუცილებელია სსკ-ში შესაბამისი ნორმების არსებობა , რომელიც მოაწესრიგებს საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების საკითხს და მხარეებს მისცემს შესაძლებლობას კანონში გათვალისწინებული ნორმების დაცვით მოითხოვონ საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება.

## VI თავი - საბანკო გარანტიის კლასიფიკაცია

საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია შესაძლოს მოვახდინოთ როგორც უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის , ასევე მოთხოვნის წარდგენისა და გადახდის მექანიზმების მიხედვით.<sup>61</sup> უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის განსასაზღვრად აუცილებელია გავითვალისწინოთ თუ რა სახის ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფა ხდება , ხოლო „გადახდის მექანიზმი განსაზღვრავს იმ მტკიცებულების სახეს, რომელმაც უნდა დაადასტუროს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, რომლის წარდგენისასაც ბანკმა უნდა მოახდინოს გადახდა.“<sup>62</sup>

<sup>60</sup> <https://brooklynworks.brooklaw.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1696&context=bjil> Roy Goode Abstract Payment Undertakings in International Transactions - 9-1-1996 page 18

<sup>61</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი 879 გვ 18

<sup>62</sup> საბანკო გარანტიის სამართლებრივი ასპექტები პაატა ხოტენაშვილი გვ 42 – 2015 წელი

საბანკო გარანტიის გადახდის მექანიზმის რამდენიმე განსხვავებულ საშუალებას ვიცნობთ. ესენია:

ა) ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე გარანტიები.

ბ) გარანტიები, რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენას

გ) გარანტიები, რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას.<sup>63</sup>

### 6.1 პირველივე მოთხოვნისთანავე ანუ უპირობო საბანკო გარანტიები

პირველი მოთხოვნისთანავე ანუ უპირობო საბანკო გარანტიები მომეტებული საფრთხის შემცველია პრინციპალისთვის. ყველაზე მეტად უპირობო საბანკო გარანტიიდან გამომდინარეობს იმის რისკი, რომ ბენეფიციარი არამართლზომიერად განახორციელებს საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნას. უპირობო საბანკო გარანტიის დროს ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს საგარანტიო თანხა უბრალო, ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტაციის გარეშე მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე.<sup>64</sup> უპირობო საბანკო გარანტიის დროს ბენეფიციარს ეკისრება ერთადერთი ვალდებულება წარმოადგინოს სათანადო მოთხოვნა თანხის მიღებაზე. გარანტს არ შეუძლია შეამოწმოს ჰქონდა თუ არა ძირითადი ვალდებულების დარღვევას ადგილი ან იყო თუ არა დარღვევა პრინციპალის ბრალით გამოწვეული.

უპირობო მოთხოვნისთანავე გარანტიები შესაძლებელია დავეყოთ უბრალო მოთხოვნისთანავე და გარანტიებად, რომლებიც პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ მითითებას უნდა ითვალისწინებდნენ. უბრალო მოთხოვნისთანავე გარანტიებისთვის საკმარისია ბენეფიციარის უბრალო წერილობითი მოთხოვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, რომ პრინციპალმა არ შეასრულა ძირითადი ვალდებულება და

<sup>63</sup> იქვე

<sup>64</sup> ნინო ჭიპაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით გვ 193 – 2015 წელი

მიუთითოს თუ რაში გამოიხატა ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა.<sup>65</sup> შესაბამისად უბრალო მოთხოვნისთანავე გარანტიები, კიდევ უფრო მეტად სარისკოა პრინციპალისთვის. URDG 758-ე პუბლიკაცია არ იცნობს უბრალო მოთხოვნისთანავე გარანტიის ფორმას. პუბლიკაციის მე-20 მუხლი განსაზღვრავს , რომ მოთხოვნის წარდგენისას ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს რომ ძირითადი ვალდებულება არ არის შესრულებული და ასევე მიუთითოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა.<sup>66</sup> იმ შემთხვევაში თუ საბანკო გარანტია ექვემდებარება უნიფიცრებული წესების ამ პუბლიკაციას და მხარეებს სურთ ბენეფიციარისთვის საგარანტიო თანხის გადახდა მოხდეს უბრალო მოთხოვნისთანავე , მათ შეუძლიათ შეზღუდონ აღნიშნული მუხლის გავრცელება.

URDG 758-ე პუბლიკაცია განამტკიცებს, როგორც უპირობო, ისე პირობით გარანტიებს.<sup>67</sup> უპირობო და პირობით გარანტიას შორის განმასხვავებელს წარმოადგენს ის, რომ პირობითი საბანკო გარანტიის დროს აუცილებელია მოთხოვნას თან დაერთოს დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სსკ უპირობო გარანტიების შესახებ ჩანაწერს არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, მოთხოვნის წარდგენის ფორმის განსაზღვრისას სსკ იმპერატიულად ადგენს , რომ „ ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით , გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს , თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. „<sup>68</sup> აღნიშნული ნორმის მიხედვით მოთხოვნას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები, შესაბამისად შესაძლოა ჩავთვალოთ , რომ სსკ მხოლოდ პირობითი საბანკო გარანტიის გაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

<sup>65</sup> საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები პაატა ხოტენაშვილი გვ 45 – 2015 წელი

<sup>66</sup> URDG 758 ARTICLE 20

<sup>67</sup> URDG 758 ARTICLE 15 A და B პუნქტებით გათვალისწინებულია პირობითი გარანტიის არსებობა, ხოლო C პუნქტით უპირობო გარანტიის.

<sup>68</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი

მეორე მხრივ ხშირად შევხვდებით სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ აუქციონებს, სადაც მოთხოვნილია უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, მაგ. სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-ს მიერ ჩატარებულ ინტერნეტაუქციონში მონაწილე ნებისმიერი პირი, ქონების პრივატიზებისას ვალდებულია წარადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.<sup>69</sup> აღნიშნული საკითხი სამოქალაქო კოდექსში ბევრ კითხვას და ბუნდოვანებას იწვევს. სსკ-ს 879 მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რომ თანხის გადახდა უნდა მოხდეს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო სსკ-ს 885-ე მუხლის თანახმად წერილობით მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტაცია. შესაძლოა აღნიშნული ნორმები ურთიერთსაწინააღმდეგოდ განვიხილოთ და ჩავთვალოთ, რომ ერთი ნაწილი უშვებს უპირობო საბანკო გარანტიების არსებობას, მეორე ზღუდავს. ამასთან, ფაქტია, რომ უპირობო საბანკო გარანტიების მოთხოვნა სხვადასხვა სსიპ-ისა თუ კერძო ორგანიზაციის მიერ ხდება, შესაბამისად აუცილებელია სსკ-ში აღნიშნული ნორმების ცვლილება, რათა მოხდეს ბუნდოვანი საკითხების და ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმების აღმოფხვრა.

პირობითი საბანკო გარანტიის გამოყენებისას ნაკლებია არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების რისკი და აღნიშნული შესაძლებელია დადებით ფაქტორადაც მივიჩნიოთ, თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, რომლის თანახმადაც საბანკო გარანტიის პირობითობის დაძლევა მიზანშეწონილია.<sup>70</sup> ის მიზანი, რომელიც საბანკო გარანტიას აქვს უპირობო საბანკო გარანტიის დროს მეტად მიღწევადია, კერძოდ მოთხოვნის სწრაფი დაკმაყოფილება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარი სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები უპირატესობას უპირობო საბანკო გარანტიებს ანიჭებენ. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ კომერციული ბანკის მიერ გაცემული

<sup>69</sup> <https://www.eauction.ge/OrganizationRules/ShowManualFile/2> last seen 18.08.2021

<sup>70</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. დავით ათაბეგაშვილის ნაშრომი „საგარანტიო ვალდებულებების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“ – 2019 წელი

უპირობო საბანკო გარანტიის წარდგენა იყოს გათვალისწინებული.<sup>71</sup> თუმცა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ უპირობო საბანკო გარანტიის დროს პრინციპალს საკმაოდ სუსტი პოზიცია აქვს და არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებამ და შემდეგ გადახდილი თანხის რეგრესის წესით მისგან ანაზღაურებამ შესაძლოა პრინციპალს სერიოზული საფრთხე შეუქმნას.

## 6.2 გარანტიები, რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენას

საბანკო გარანტიების ეს ტიპი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ითვალისწინებს არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენას. გარანტიის ეს ტიპი ფაქტიურად წარმოადგენს ბენეფიციარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებას, რომელიც ადასტურებს ბანკის მიერ გადახდის ვალდებულებას.<sup>72</sup>

პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის წარმოშობილ დავაში გარანტი არ მონაწილეობს. დავის გადაწყვეტის შემდეგ სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენის შემთხვევაში გარანტი განახორციელებს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდას. მას მხოლოდ გადაწყვეტილების საბანკო გარანტიის პირობებთან შესაბამისობის დადგენა ევალება.<sup>73</sup>

## 6.3 გარანტიები, რომლებიც გადახდისათვის ითვალისწინებს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას

საბანკო გარანტიების ეს ტიპი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ითვალისწინებს მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენას. გარანტიის ტექსტში შესაძლოა მითითებული იყოს, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ნოტარიულად დამოწმებული შეუსრულებელი სავალო დოკუმენტის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული

<sup>71</sup> „საგარანტიო ვალდებულებების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“ დ. ათაბეგაშვილი გვ 189 გვ 195 – 2019 წელი

<sup>72</sup> საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები პაატა ხოტენაშვილი გვ 53 – 2015 წელი

<sup>73</sup> იქვე



სერტიფიკატის, არბიტრაჟისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარდგენის შემდეგ.<sup>74</sup>

#### 6.4 გამოთხოვადი და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები

პრაქტიკაში შესაძლოა შეგვხვდეს, როგორც გამოთხოვადი, ისე გამოუთხოვადი საბანკო გარანტიები. სსკ-ს 882-ე მუხლის მიხედვით „საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვნილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ როგორც ნორმის შინაარსიდან ჩანს, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებულად მოაწესრიგონ აღნიშნული საკითხი, ანუ ნორმა დისპოზიციურია. საბანკო გარანტიაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მისი გამოთხოვის შესაძლებლობა. თუ მასში არ არის შეთანხმებული გარანტიის გამოთხოვის წესი - ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამოუთხოვად გარანტიასთან. გამოთხოვადი და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიების არსებობას ითვალისწინებს დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ გაეროს კონვენციაც, რომლის მე-7 მუხლის თანახმად „საგარანტიო ვალდებულება გამოუთხოვადია გაცემის მომენტიდან, თუ მასში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ ის გამოთხოვადია.“<sup>75</sup>

გამოთხოვადი გარანტიის დროს გარანტი უფლებამოსილია ბენეფიციარის წინასწარი თანხმობის გარეშე შეცვალოს გარანტიის პირობები. ასევე გარანტს მინიჭებული აქვს გარანტიის უკან გამოთხოვის შესაძლებლობაც, რის გამოც ბენეფიციარი შესაძლოა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გარეშე დარჩეს. გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის დროს გარანტს არ აქვს უფლება ბენეფიციარის წინასწარი თანხმობის გარეშე შეცვალოს საბანკო გარანტიის პირობები ან გამოითხოვოს იგი. ბენეფიციარის თანხმობის გარეშე შესული ცვლილებები არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს.<sup>76</sup>

<sup>74</sup> URDG 758

<sup>75</sup> UNITED NATIONS CONVENTION ON INDEPENDENT GUARANTEES AND STAND-BY LETTERS OF CREDIT ARTICLE 7

<sup>76</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი 882

უნიფიცირებული წესები განამტკიცებს მხოლოდ გამოუთხოვად გარანტიებს. URDG 758-ე პუბლიკაციის მე-4 მუხლის თანახმად „ გარანტია გამოუთხოვადია გაცემის მომენტიდან, მაშინაც კი , როცა მასში აღნიშნული არ არის ამის თაობაზე. ბენეფიციარი უფლებამოსილია მოთხოვნა წარადგინოს გარანტიის გაცემის მომენტიდან.“<sup>77</sup>

გამოთხოვადი საბანკო გარანტია დიდი რისკის შემცველია ბენეფიციარისთვის. ასეთი გარანტიები საკმარისად მყარ უზრუნველყოფად ვერ იქნება მიჩნეული. არსებობს ალბათობა, რომ გამოთხოვადი გარანტიის დროს ბენეფიციარი ვერ დაიკმაყოფილებს მოთხოვნას გარანტიის პირობების შესაბამისად, რადგან გარანტს ცალმხრივად ექნება გარანტიის პირობები შეცვლილი. სწორედ ამიტომ, სსკ-ს განმარტებასთან შედარებით URDG 758-ე პუბლიკაციის განმარტება ბენეფიციარის უკეთესი დაცვის მექანიზმად უნდა მივიჩნიოთ. სსკ-ში პრობლემურია ისიც, თუ როგორ უნდა მოხდეს გარანტიის გამოთხოვა ან ხომ არ არის კონკრეტული პროცედურების დაცვა აუცილებელი საბანკო გარანტიის გამოთხოვის დროს. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხიც კანონმდებლობის პრობლემად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ერთი მხრივ გამოთხოვადი საბანკო გარანტია საერთოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ მოთხოვნის უზრუნველყოფის მყარ საშუალებად , მეორე მხრივ თუ მაინც გავითვალისწინებთ გამოთხოვადი საბანკო გარანტიის არსებობას არ არის მოწესრიგებული თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის განხორციელება. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ სსკ სრულად გაიზიარებს URDG 758-ე პუბლიკაციის განმარტებას და იმპერატიულად გაითვალისწინებს მხოლოდ გამოუთხოვადი საბანკო გარანტიების არსებობას.

## 6.5 დაფარული და დაუფარავი საბანკო გარანტიები

დაფარული და დაუფარავი საბანკო გარანტიები ერთმანეთისგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის მიხედვით განსხვავდება. როდესაც საბანკო გარანტიის უზრუნველყოფა ხდება ფულით ან შესაბამისი სუბიექტების მიერ გაცემული გარანტიებით ასეთ გარანტიებს დაფარულ გარანტიებს უწოდებენ.<sup>78</sup> თუ გარანტია აღნიშნულს არ ითვალისწინებს საქმე გვაქვს დაუფარავ გარანტიებთან. მიუხედავად საბანკო გარანტიის სასყიდლიანი ბუნებისა, პრინციპალის მიერ გადახდილი საზღაური შესაძლოა არ იყოს იმ რისკის

<sup>77</sup> URDG 758 ARTICLE 4

<sup>78</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი 879

პროპორციული, რომელსაც გარანტი იღებს საბანკო გარანტიის გაცემით. შესაბამისად, შესაძლოა გარანტმა მოითხოვოს ფულადი თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსება. პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად შევხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც კომერციული ბანკი საბანკო გარანტიას გასცემს მას შემდეგ, რაც პრინციპალი შესაბამის თანხას განათავსებს კომერციულ ბანკში მის ანგარიშზე. კომერციული ბანკი გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში ახორციელებს აღნიშნული ანგარიშის დაბლოკვას ( ე.წ. ბლოკირებული ანგარიში ) და იმ შემთხვევაში თუ გარანტი გასცემს საგარანტიო თანხას, თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ახდენს ბლოკირებულ ანგარიშზე განთავსებული ფულადი თანხის მეშვეობით.

## 6.6 ტრანსფერაბელური და არატრანსფერაბელური საბანკო გარანტიები

ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისთვის გადაცემის შესაძლებლობის მიხედვით საბანკო გარანტია შესაძლებელია იყოს ტრანსფერაბელური ან არატრანსფერაბელური. სსკ-ს 883-ე მუხლი არეგულირებს გარანტიის ტრანსფერაციის საკითხს. აღნიშნული ნორმაც დისპოზიციური ხასიათისაა. მხარეებს შეუძლიათ საბანკო გარანტიაში გაითვალისწინონ გარანტიის ტრანსფერაციის საკითხი. ასეთ დროს გარანტია ტრანსფერაბელურია , ხოლო თუ არ ითვალისწინებს გადაცემის შესაძლებლობას არატრანსფერაბელური. ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს URDG N758-ე პუბლიკაციაც , რომლის მიხედვითაც გარანტია ტრანსფერაბელურია თუ მასში პირდაპირაა მითითებული, რომ იგი ტრანსფერაბელურია. თუმცა, ამავე წესების საფუძველზე აკრძალულია კონტრგარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების დათმობა. შესაძლოა გარანტია არ ითვალისწინებდეს ტრანსფერაციის საკითხს, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისთვის გადაცემა თუ გარანტი ნათლად გამოხატავს თანხმობას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის დათმობაზე. შესაბამისად გადამწყვეტი არის გარანტის ნება.

## 6.7 საბანკო გარანტიები უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით

უზრუნველყოფილი ვალდებულების შინაარსის მიხედვით განასხვავებენ საბანკო გარანტიათა ორ ტიპს ა) გარანტიები , რომლებიც ემსახურებიან ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას ბ) გარანტიები, რომლებიც ემსახურებიან არაფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფას.<sup>79</sup>

საბანკო გარანტიის სახის განსაზღვრა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული და ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. პრაქტიკაში გვხვდება შემდეგი სახის საბანკო გარანტიები : ა) სატენდერო ბ) ხელშეკრულების შესრულების გ) წინასწარი საავანსო ანგარიშსწორების დ) დეფექტზე პასუხისმგებლობის ე) საბაჟო ვ) სასამართლო და სხვ. თითოეული მათგანს განსხვავებული რეგულირების წესი აქვს და სხვადასხვა სახის ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფას ემსახურება.

## 6.8 სატენდერო საბანკო გარანტია ( Tender Bond or Bid Bound)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ითვალისწინებს საბანკო გარანტიის წარმოდგენას.<sup>80</sup> ამ სახის გარანტიები პრინციპალის მიერ სატენდერო ურთიერთობაში შესვლისას გამოიყენება და მის ძირითად მიზანს ბენეფიციარის ინტერესების დაცვა წარმოადგენს.<sup>81</sup> აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გამარჯვებული მხარე ვალდებულია შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რომელიც საჭიროა ხელშეკრულების გასაფორმებლად. სატენდერო გარანტია ხელშეკრულების გაფორმების მიზანს ემსახურება. სატენდერო გარანტია იცავს ბენეფიციარს ზიანის მიყენებისგან. იმ შემთხვევაში თუ მხარე არ შეასრულებს საჭირო მოქმედებებს, რაც

<sup>79</sup> საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები პაატა ხოტენაშვილი გვ 65 – 2015 წელი

<sup>80</sup> იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=79>

<sup>81</sup> „მართლმსაჯულება და კანონი „ ნინო ლიპარტია სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები გვ 125 – 2016 წელი

აუცილებელია ხელშეკრულების გასაფორმებლად , ბენეფიციარი მოახდენს სატენდერო საბანკო გარანტიის გამოთხოვას. <sup>82</sup>

სახელმწიფო ტენდერის ჩატარების დროს სატენდერო გარანტიები აქტიურად გამოიყენება. ამ სახის გარანტიის წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილეობისთვის. სატენდერო გარანტიებთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ბრძანების საფუძველზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებაში ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ სატენდერო გარანტიები მოხსენიებული იყო , როგორც წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია . ამ ბრძანების თანახმად „წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია არის წინადადების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტირების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.“ <sup>83</sup> რაც შეეხება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის ახალ ბრძანებას, კერძოდ 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებას, სატენდერო გარანტიები განმარტებულია შემდეგნაირად - „სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია - არის სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით პრეტენდენტის მიერ სააგენტოსთვის სისტემის მეშვეობით წარდგენილი გარანტიების მექანიზმი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების, ხოლო ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარების შემთხვევაში - შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით.“ <sup>84</sup>

---

<sup>82</sup> იქვე

<sup>83</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება <https://mfa.gov.ge/getattachment/Vacancy/Documents/01.pdf.aspx>

<sup>84</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანება <http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=0bff4d3e-508a-4013-8f5d-e0fe2b93a1b4>

აღნიშნული გარანტიით ტენდერში გამარჯვებული პრინციპალი იზღუდება, რომ ის ბოროტად არ გამოიყენებს უფლებას და უარს არ იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე ინტერესის დაკარგვის ან სხვა მიზეზის გამო.

### 6.9 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ( Performance bond or Completion bond )

ხელშეკრულების შესრულების გარანტია მხარეებს შორის ძირითადი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას ემსახურება. ის შესაძლოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების გაფორმებამდე ან გაფორმების შემდეგ. გარანტიის ოდენობას მხარეები ინდივიდუალურად საზღვრავენ , თუმცა მისი მოცულობა ძირითადად უზრუნველყოფილი ვალდებულების 5%-დან 10%-მდე განისაზღვრება.<sup>85</sup>

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია შესაძლოა გავრცელდეს როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე, ასევე დამატებითი ვალდებულებების შესრულებაზეც, მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებით შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს სახელშეკრულებო ქონების მიწოდება, თუმცა შესრულების გარანტია ითვალისწინებდეს სახელშეკრულებო ქონების მიწოდებასთან ერთად მის მონტაჟსაც. თუმცა, შესაძლოა ასეთი საკითხები დამატებით წარმოდგენილი გარანტიის რეგულირების საგანი იყოს, მაგ. მომსახურების გარანტიის, რომელიც უზრუნველყოფს საგარანტიო პერიოდში სახელშეკრულებო ქონების გამართულ ფუნქციონირებას. მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული ერთი შესრულების გარანტიით გაითვალისწინებენ რამდენიმე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას თუ დამატებითი გარანტიების წარმოდგენაზე შეთანხმდებიან.<sup>86</sup>

<sup>85</sup> „მართლმსაჯულება და კანონი „ ნინო ლიპარტია სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები გვ 127 – 2016 წელი

<sup>86</sup> ვ. ხოტენაშვილი საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები გვ 69 – 2015 წელი



## 6.10 საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ( Advance Payment or Repayment Guarantee )

საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები გამოიყენება წინასწარ გადახდილი ხელშეკრულების ღირებულების მიზნობრივად ათვისების უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი განახორციელებს გადახდილი თანხის არამიზნობრივად გახარჯვას საბანკო გარანტიის ძალით მას უფლება აქვს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ტიპის საბანკო გარანტიების თანხა ძირითადად განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 10% ან 20%-ის ოდენობით, თუმცა მხარეებს ამ შემთხვევაშიც შეუძლიათ შეთანხმდნენ განსხვავებულ წესზე. აღნიშნული გარანტია განსხვავდება სხვა სახის გარანტიებისგან იმით, რომ საბანკო გარანტიის მოცულობა შესაძლოა შემცირდეს პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოების პროპორციულად. ასეთ რეგულირებას სსკ არ ითვალისწინებს, თუმცა მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ამგვარ მოწესრიგებაზე და გარანტიის ტექსტში მიუთითონ, რომ თანხა შემცირდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.<sup>87</sup>

## 6.11 დეფექტზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტია (Quality Guarantee)

საბანკო გარანტიის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს დეფექტზე პასუხისმგებლობის იგივე ხარისხის საბანკო გარანტია. გარანტიის აღნიშნული ტიპი გამოიყენება ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული სახელშეკრულებო ქონების ან შესრულებული სამუშაოს დეფექტების გამოსწორების თანხების უზრუნველსაყოფად. ამ ტიპის გარანტიის წარდგენა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემდეგ. გარანტიის წარმოდგენამდე აუცილებელია ბენეფიციარმა მიიღოს შესრულებული სამუშაო. ბენეფიციარი განსაზღვრავს დეფექტზე პასუხისმგებლობის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადას და პრინციპალი ვალდებულია წარმოადგინოს ისეთი გარანტია, რომელიც შეესაბამება ბენეფიციარის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირობებს.<sup>88</sup>

<sup>87</sup> „მართლმსაჯულება და კანონი „ ნინო ლიპარტია სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები გვ 130 – 2016 წელი

<sup>88</sup> „მართლმსაჯულება და კანონი „ ნინო ლიპარტია სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები გვ 131 – 2016 წელი

## 6.12 საბაჟო გარანტია (Customs Guarantee)

საბაჟო გარანტია უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველოში აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290 ბრძანებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.<sup>89</sup> ევროპული კავშირის ქვეყნებში საბაჟო გარანტიებს იყენებენ საქონლის თავისუფლად გადაადგილებისთვის. ამ შემთხვევაში ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე საქონელი გადაადგილდება გადასახადების გადახდის გარეშე გარდა დანიშნულების ქვეყნისა.<sup>90</sup>

## 6.13 სასამართლო გარანტია

კომერციული საქმიანობის გაგრძელების მიზნით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა შესაძლოა შეიცვალოს საბანკო გარანტიით. „სასამართლო გარანტია გამოიყენება მოსარჩელის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების მიზნით. სასამართლო გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა და თანხის გადახდა ხდება საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე, რომლის შესაბამისად მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელისთვის გარკვეული თანხის გადახდა.“<sup>91</sup> მას შემდეგ რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარს შეუძლია გარანტს წარუდგინოს მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მიღებული გადაწყვეტილება და მოითხოვოს გადახდა.

## თავი VII - საბანკო გარანტიის ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი შემოწმება

ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენა საგარანტიო შემთხვევის დადგომაზე მიუთითებს. მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის

<sup>89</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4307557?publication=0> last seen: 04.09.2021

<sup>90</sup> პ. ხოტენაშვილი საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები გვ 74 – 2015 წელი

<sup>91</sup> ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები „ გვ 108 - 2018 წელი



დართვით, გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე. მოთხოვნის წარმოდგენა შესაძლოა მოხდეს ელექტრონულადაც იმ შემთხვევაში თუ გარანტსა და ბენეფიციარს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მოთხოვნის მიღების თაობაზე.<sup>92</sup> რომელი ფორმით იქნება მოთხოვნა წარდგენილი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია შესაძლებელი იყოს ბენეფიციარის იდენტიფიკაციის დადგენა.

გარანტიის პირობებთან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება ბენეფიციარს ეკისრება. მან მოთხოვნას თან უნდა დაურთოს დოკუმენტები, უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტზე, ასევე თუ რაში გამოიხატება ვალდებულების დარღვევა. როგორც წესი, უნდა მოხდეს ორიგინალი დოკუმენტაციის წარდგენა. ასლების წარდგენა საკმარისი არ არის.<sup>93</sup> მოთხოვნის წარდგენის ფორმალური პროცედურების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უპირობო გარანტიის დროს, რადგან ამ დროს ბენეფიციარს შეუძლია მხოლოდ მოთხოვნის წარდგენით მიიღოს საგარანტიო თანხა. გარანტს უფლება აქვს ამ პროცედურების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა არ დააკმაყოფილოს. უფრო მეტიც, ის ვალდებულია უარი უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.<sup>94</sup> ბენეფიციარს მოთხოვნის უფლებამოსილი პირისთვის მიწოდების ვალდებულებაც ეკისრება. საბანკო გარანტიით შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტულად სად უნდა ჩაბარდეს საბანკო გარანტია.

ბენეფიციარი ვალდებულია მოთხოვნა წარადგინოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში. ვადის გასვლით ავტომატურად ქარწყლდება ბენეფიციარის მოთხოვნა. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომელიც საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ მოთხოვნას საპატიოდ მიიჩნევს. URDG #758-ე პუბლიკაცია ვადის გაშვებას

<sup>92</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 885 მუხლი

<sup>93</sup> სახელშეკრულებო სამართალი ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია გვ 581 - 2014 წელი

<sup>94</sup> ლ. ჭანტურია კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 222 – 2012 წელი

საკატიოდ მიიჩნევს იმ შემთხვევაში თუ ის გამოწვეული დაუძლეველი ძალის, კერძოდ სამოქალაქო არეულობის, სტიქიური უბედურებების, სამოქალაქო აჯანყების, ომის, ტერორისტული აქტის ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც გარანტის ან კონტრგარანტის კონტროლის მიღმაა. დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი გარანტია და კონტრგარანტია გრძელდება 30 კალენდარული დღის ვადით. გარანტი ვალდებული დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.<sup>95</sup> სსკ არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში ისეთ შემთხვევებს, როდესაც საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა შესაძლოა საკატიოდ იქნეს მიჩნეული.

მოთხოვნის წარდგენის შემდეგ სწორი გადაწყვეტილების მიღების სიმძიმე მთლიანად გარანტზეა დაკისრებული. არასწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გარანტმა შესაძლოა დაკარგოს გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნა. გარანტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე, თუმცა ის ვალდებული გადაამოწმოს ხომ არ არის ბენეფიციარის მიერ თანხის მოთხოვნა უფლების ბოროტად გამოყენება.<sup>96</sup> „ბენეფიციარის სათანადოდ წარდგენილი მოთხოვნა და გარანტის რეგრესის უფლება პრინციპალისგან პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან და ერთმანეთს აწონასწორებს. თუ ეს წონასწორობა ბენეფიციარის მიერ დაირღვევა, გარანტის უფლება რეგრესზე პრინციპალის მიმართ შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს, რაც ახალ დავას წარმოშობს პრინციპალსა და გარანტს შორის.“<sup>97</sup> გარანტს ასევე ეკისრება პრინციპალის ინფორმირების ვალდებულება, ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს და უნდა გადასცეს მოთხოვნის ასლი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.<sup>98</sup> გარანტის მიერ პრინციპალის ინფორმირების

---

<sup>95</sup> URDG 758 article 26

<sup>96</sup> ლ. ჭანტურია კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი გვ 225 – 2012 წელი

<sup>97</sup> ნ. ჭიპაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით გვ 147 – 2015 წელი

<sup>98</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886 მუხლი

იმპერატიული მოთხოვნა პრინციპალის ინტერესების დაცვას ემსახურება და არამართლობიერი მოთხოვნის პრევენციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. შეტყობინების ვალდებულებას ითვალისწინებს URDG #758-ე პუბლიკაციაც. ამავე წესებით განსაზღვრულია რა ვადაში უნდა მოხდეს გარანტიის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შემოწმება. URDG 758 მოთხოვნის შემოწმებისთვის განსაზღვრავს ხუთ სამუშაო დღეს, თუმცა აღნიშნული ვადა გადაიწევის და დაიწყება შესაბამისი გარანტიის იდენტიფიკაციის მომენტიდან თუ წარდგენილ მოთხოვნაში არ არის მითითებული იმ საბანკო გარანტიის რეკვიზიტები, რომელსაც წარდგენილი მოთხოვნა ეხება. სსკ არ ითვალისწინებს მოთხოვნის შემოწმების რაიმე კონკრეტულ ვადას.

წარდგენილი მოთხოვნის შემოწმების შემდეგ გარანტი იღებს გადაწყვეტილების მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. სსკ-ს 887-ე მუხლის მიხედვით თუ წარდგენილი მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან მათი წარდგენა მოხდა გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გარანტმა არ უნდა დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. „როგორც უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა სსკ-ს 885-ე მუხლი ავსებს სსკ-ს 887-ე მუხლის I ნაწილის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარანტმა უნდა შეამოწმოს, მაგალითად ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის წარდგენა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წერილობითი ფორმით განხორციელდა თუ არა.“<sup>99</sup> სსკ არ ითვალისწინებს თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ბენეფიციარის ინფორმირება, მაგრამ შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ რა ფორმითაც მოხდა მოთხოვნის წარდგენა იმ ფორმითვე უნდა მოხდეს ბენეფიციარის ინფორმირება.

სსკ-ს 887-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო

---

<sup>99</sup> სახელმწიფო სამართალი ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია გვ 583 – 2014 წელი

გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს.

გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.“ ერთი მხრივ აღნიშნული ნორმის შინაარსი მისაღებია, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი წარადგენს მოთხოვნას, რომელსაც თან არ ახლავს რაიმე დოკუმენტი, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხელმეორედ წარადგინოს მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტთან ერთად, მეორე მხრივ აღნიშნული ნორმა ყველაზე დიდ რისკებს შეიცავს პრინციპალისთვის, რადგან ბენეფიციარის მიერ ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია.

გასაგებია, რომ აღნიშნული გამოწვეულია საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნებით, თუმცა იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი კეთილსინდისიერად ასრულებს ძირითადი ხელშეკრულებით ბენეფიციარის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, გარანტმა იცის, რომ ძირითადი ვალდებულება მთლიანად უკვე შესრულებულია არაკეთილსინდისიერი ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა რატომ უნდა ექვემდებარებოდეს გარანტის მიერ გადახდას ჩემთვის დაუსაბუთებელია. მიმაჩნია, რომ ბენეფიციარის მხრიდან მსგავსი მოთხოვნა უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც არამართლზომიერი მოთხოვნა, შესაბამისად გარანტს უპირობოდ არ უნდა ეკისრებოდეს თანხის გადახდის ვალდებულება. ამ მოცემულობით მაშინ, როდესაც პრინციპალი კეთილსინდისიერად ასრულებს ბენეფიციარის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო ბენეფიციარი ითხოვს და იღებს საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, პრინციპალის გადახდილი თანხის გარანტის წინაშე რეგრესის წესით ანაზღაურება ეკისრება. ვითარება კიდევ უფრო გართულდება ისეთი შემთხვევის დროს, როდესაც გარანტი პირდაპირ განახორციელებს გადახდილი თანხის ანაზღაურებას, მაგ. პრინციპალის მიერ ბლოკირებულ ანგარიშზე განთავსებული თანხის რეალიზაციის გზით. ასეთ შემთხვევაში პრინციპალი უნდა ედავოს ბენეფიციარს და არსებული დავა მათ

შორის უნდა გადაწყდეს. საკუთარი ინტერესების დაცვის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა ამ დროისთვის ბენეფიციარი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს და პრინციპალმა ვერ მოახერხოს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც მას ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოაჩენს.

არამართლზომიერ მოთხოვნად ისეთი შემთხვევებია განსაზღვრული, როდესაც ბენეფიციარი ყალბი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე ითხოვს თანხას. შესაძლოა ხელმეორე მოთხოვნის შემთხვევაში ასეთ ფაქტს არ ქონდეს ადგილი, მაგრამ იმისთვის, რომ პრინციპალი არ აღმოჩნდეს ძალიან მძიმე მდგომარეობაში შესაძლებელია გამართლებული იყოს ასეთი ხელმეორე მოთხოვნის არამართლზომიერ მოთხოვნად დაკვალიფიცირება, რათა გარანტი არ იყოს ვალდებული ხელმეორე მოთხოვნის შემთხვევაში უპირობოდ გასცეს საბანკო გარანტიის თანხა.

## თავი VIII - საბანკო გარანტიის განსხვავება სხვა ურთიერთობებისგან

საბანკო გარანტია სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავებით ბევრად უფრო მყარ და სწრაფ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. ამას პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ გარანტიის გამცემი სუბიექტები ყოველთვის ფინანსურად ძლიერი ორგანიზაციები არიან. მეორე მხრივ საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნება, არააქცესორულობა გამოარჩევს მას სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან.

### 8.1 საბანკო გარანტია და თავდებობა

ერთი შეხედვით საბანკო გარანტია და თავდებობა შესაძლოა ჰგავდნენ ერთმანეთს, რადგან ორივე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს და ორივე შემთხვევაში გარანტიც და თავდებიც კისრულობენ პასუხისმგებლობას სხვა პირის ბრალისთვის, თუმცა ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

საბანკო გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის არააქცესორული საშუალებაა და ის არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე, მაშინ, როცა თავდებობა აქცესორულია, შესაბამისად დამოკიდებულია ძირითად

ვალდებულებაზე. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტით წყდება თავდებობის ხელშეკრულებაც.<sup>100</sup>

საბანკო გარანტიით არ არის გათვალისწინებული გარანტისა და პრინციპალის სოლიდარული პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე, მაშინ, როდესაც თავდები და მოვალე შესაძლოა სოლიდარულად იყვნენ პასუხისმგებლები. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც მოსარჩელე (ბენეფიციარი) ითხოვდა საგარანტიო თანხის მიღებას სოლიდარულად გარანტისა და პრინციპალისგან სასამართლომ განმარტა, რომ „ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შეუსრულებელი ვალდებულების მოთხოვნის უფლება არ შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთობლივად, სოლიდარულად, როგორც პრინციპალის, ასევე გარანტის მიმართ საბანკო გარანტიის ბუნებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში თუ მოვალე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, კრედიტორი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, შეუსრულებელი ვალდებულების ოდენობით გარანტს მოსთხოვოს საგარანტიო თანხის გადახდა.“<sup>101</sup>

საბანკო გარანტიისა და თავდებობის განმასხვავებელი არის ისიც, რომ გარანტს არ შეუძლია გამოიყენოს პრინციპალის შესაგებელი ბენეფიციარის მიმართ, მაშინ, როდესაც თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა, რომ „აქცესორული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს (მაგალითად თავდებობა) შესაძლებელია კრედიტორის წინააღმდეგ ყველა იმ შესაგებლის წარდგენა, რაც მოვალეს აქვს. ეს კი კრედიტორისთვის ნიშნავს ისეთ სასამართლო პროცესში ჩაბმას, რომელსაც მისთვის დიდი რისკი და უხერხულობა ახლავს, რადგან საკითხი ეხება სხვა პირის (პირადი მოვალე) მხრიდან ვალდებულების შესრულება-არშესრულების, არაჯეროვანი შესრულების საკითხების კვლევას. სწორედ ამგვარი სიძნელეების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა დამოუკიდებელი გარანტიების ინსტიტუტი.“<sup>102</sup>

<sup>100</sup> კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, ლ. ჭანტურია გვ 208 – 2012 წელი

<sup>101</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #2/36114-16

<sup>102</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინება საქმე N330210116001271537 საქმე N28/5279-17

საბანკო გარანტია არ არის უზრუნველყოფის სუბსიდიური საშუალება, მაშინ, როდესაც თავდებობა ხშირ შემთხვევაში სუბსიდიურია.<sup>103</sup> აღნიშნული განსხვავებებიდან ჩანს, რომ ეს ორი უზრუნველყოფის საშუალება საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან და განსხვავებული სამართლებრივი მახასიათებლები გააჩნიათ.

## 8.2 საბანკო გარანტია და აკრედიტივი

საბანკო გარანტიასა და აკრედიტივს გააჩნიათ ბევრი საერთო თვისება. ისევე, როგორც საბანკო გარანტია, ასევე აკრედიტივს დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისგან. სსკ-ს თანახმად „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა ან გაანადგოს რემიტენტისგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.“<sup>104</sup> როგორც აღნიშნული განმარტებიდანაც ჩანს, აკრედიტივის შემთხვევაშიც განსაზღვრულია მისი დოკუმენტური ბუნება. აკრედიტივიდან გამომდინარე ურთიერთობის სუბიექტებსაც შეეხება აქვთ არა საქონელთან ან მომსახურებასთან, არამედ მხოლოდ დოკუმენტებთან. მისი დოკუმენტური ბუნებიდან გამომდინარე ბანკი ამოწმებს მასთან წარდგენილ დოკუმენტებს და არა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელს ან მომსახურებას.

განსხვავებით საბანკო გარანტიისგან, აკრედიტივს აქვს არა უზრუნველყოფის, არამედ გადახდის ფუნქცია. ის არ არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და აკრედიტივის დროს ბანკი არ იღებს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდის ვალდებულებას.

<sup>105</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ აკრედიტივის შემთხვევაში ბანკში წარსადგენი

<sup>103</sup> კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, ლ. ჭანტურია გვ 209 – 2012 წელი

<sup>104</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 876

<sup>105</sup> კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, ლ. ჭანტურია გვ 210 – 2012 წელი

დოკუმენტაცია სრულიად განსხვავდება საბანკო გარანტიის დროს წარსადგენი დოკუმენტაციისგან. აკრედიტივის დროს წარსადგენი დოკუმენტაცია შეეხება თავად საქონელს (მაგალითად ზედნადები, კონოსამენტი და სხვა), ხოლო გარანტიის დროს წარსადგენი დოკუმენტაცია ეხებ პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობას. წარდგენილი დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი.

106

## თავი IX - რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულია ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების უფლება პრინციპალისგან. რეგრესული ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გარანტი და პრინციპალი ხელშეკრულებით გაითვალისწინებენ მას. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა არ არის კანონისმიერი უფლება და მისი წარმოშობა მხოლოდ ხელშეკრულებაში გათვალისწინების შემდეგ ხდება.<sup>107</sup> როგორც წესი, ყველა ხელშეკრულებაშია აღნიშნული გათვალისწინებული და ბენეფიციარის დაკმაყოფილების შემდეგ გარანტი ითხოვს გადახდილი თანხის ანაზღაურებას პრინციპალისგან.

იმ შემთხვევაში თუ გარანტიის გამცემი სუბიექტი კომერციული ბანკია, როგორც წესი, ბანკები იგივენაირად აფასებენ პრინციპალის გადახდისუნარიანობის საკითხს, როგორც ეს სესხის გაცემის შემთხვევაში ხდება. ისინი აფასებენ პრინციპალის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისი საკრედიტო კომიტეტის მიერ ხდება გადაწყვეტილების მიღება საბანკო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით. რეგრესული ანაზღაურების მიღების დაზღვევის მიზნით პრაქტიკაში ხშირად ხდება სხვადასხვა სანივთო უფლებების გამოყენება, მაგალითად უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა ან მოძრავი ქონების დაგირავება. იმ შემთხვევაში თუ გარანტიის გამცემი კომერციული ბანკია შესაძლებელია პრინციპალმა ბლოკირებულ ანგარიშზე განათავსოს საგარანტიო

<sup>106</sup> პ. ხოტენაშვილი საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები გვ 34 – 2015 წელი

<sup>107</sup> კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, ლ. ჭანტურია გვ 230 – 2012 წელი



თანხა ან საგარანტიო თანხად განისაზღვროს პრინციპალის მიერ ანაზღაურებად განთავსებული თანხა. ამ გზებით გარანტი ცდილობს თავიდან აიცილოს პრინციპალის გადახდისუნარიანობის საკითხი და იმ შემთხვევაში თუ გარანტს მოუწევს საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის გადახდა, მისი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა იყოს დაზღვეული.

სსკ-ს 890-ე მუხლის თანახმად „გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ აღნიშნული ნორმის არსებობა, უდაოდ დადებით ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ეს ნორმა გარანტს აკისრებს პასუხისმგებლობას გულდასმით შეამოწმოს წარდგენილი მოთხოვნა და მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცეს საგარანტიო თანხა თუ წარდგენილი მოთხოვნა შეესაბამება გარანტიის პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს პრინციპალისგან გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნას. ეს ნორმა იცავს პრინციპალს იმისგან, რომ მას არ მოუწევს არამართლზომიერად ან გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ გადახდილი თანხის რეგრესის წესით გარანტისთვის ანაზღაურება. აღნიშნული ნორმა დისპოზიციურია, შესაბამისად მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ განსვავებულ წესზე. ვფიქრობ, თუ კანონით იმპერატიულად იქნება განსაზღვრული, რომ პრინციპალმა არ უნდა აანაზღაუროს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ გადახდილი თანხა, აღნიშნული პრინციპალის უკეთეს დაცვას უზრუნველყოფს. რა თქმა უნდა, გარანტისათვის უკეთესია თუ ხელშეკრულებაში გაითვალისწინებს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ გადახდილი თანხის რეგრესულად ანაზღაურების საკითხსაც. პრინციპალი შესაძლოა იძულებული გახდეს დაეთანხმოს ამგვარ დათქმას, რადგან გარანტი ხელშეკრულების ძლიერი მხარეა და იმ შემთხვევაში თუ პრინციპალი არ იქნება თანახმა მის მიერ შეთავაზებულ პირობებზე შესაძლოა უარი თქვას

გარანტიის გაცემაზე და მოქმედებდეს „Take it or leave it” პრინციპით<sup>108</sup>.

შესაბამისად, რათა პრინციპალის ინტერესები იყოს უფრო მეტად დაცული, ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა უნდა იყოს იმპერატიული და არა დისპოზიციური ხასიათის.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე ცხადია, რომ საგარანტიო ურთიერთობა სხვა ურთიერთობებისგან განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. სსკ ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.<sup>109</sup> 1997 წლის შემდეგ საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში მხოლოდ ორი ცვლილება შევიდა. სამოქალაქო კოდექსს დაემატა 882 პრიმა მუხლი, რომელიც კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის სხვა კომერციულ ბანკში გადატანის უფლებას განსაზღვრავს და გათვალისწინებულ იქნა მოთხოვნის ელექტრონული წარდგენის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარსა და გარანტორს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებაზე.<sup>110</sup> საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა, შესაბამისად, რთული წარმოსადგენია, რომ 1997 წელს მიღებული ნორმები სრულად პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და საკითხს სრულად და ამომწურავად არეგულირებდეს. ამას ადასტურებს ის პრობლემური საკითხებიც, რაც აღნიშნული ურთიერთობის მოწესრიგებისას გვხვდება. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ვფიქრობ, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

<sup>108</sup> მხარემ, რომელსაც სთავაზობენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და რომელსაც განსხვავებული პირობებით სურს ხელშეკრულების გაფორმება, შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ შეუძლებელია აღნიშნული ნორმების ცვლილება და მოუწიოს დათანხმება სტანდარტულ პირობებზე. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე გვაქვს მომხმარებელსა და ბიზნესს შორის გაფორმებულ კონტრაქტებთან. ( Business to consumer ) [https://www.law.kuleuven.be/personal/mstorme/2009\\_02\\_DCFR\\_OutlineEdition.pdf](https://www.law.kuleuven.be/personal/mstorme/2009_02_DCFR_OutlineEdition.pdf) DCFR გვ 67- 68 - 2009 წელი

<sup>109</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1\\_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D\\_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98) last seen: 05.09.2021

<sup>110</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 879-890 მუხლები

ნაშრომში არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საგარანტიო ურთიერთობის სუსტ მხარეს პრინციპალი წარმოადგენს და არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების რისკი განსაკუთრებით მაღალია უპირობო საბანკო გარანტიების დროს. იმ შემთხვევაში თუ უპირობო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის არამართლზომიერი მოთხოვნა დაკმაყოფილდება პრინციპალი შესაძლოა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს თუ ვერ მოახერხებს საკუთარი ინტერესების სრულფასოვან დაცვას. მიუხედავად აღნიშნული რისკისა, ვფიქრობ, გამოსავალი არა უპირობო გარანტიების გამოყენების შეზღუდვაში, არამედ უპირობო და პირობითი გარანტიების გამიჯვნაში და მათ სწორ რეგულირებაშია. როგორც უკვე აღვნიშნე, სსკ არაფერს ამბობს უპირობო და პირობით გარანტიებზე, უფრო მეტიც, რამდენიმე ნორმის ანალიზის შედეგად შესაძლოა ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებამდეც კი მივიდეთ. მაგალითად სსკ 879-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარანტი ვალდებულია გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ სსკ-ს 885 განსაზღვრავს, რომ საგარანტიო მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და მას თან უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტაცია. აღნიშნული ნორმა გამორიცხავს უპირობო გარანტიების არსებობას, რადგან მოთხოვნის წარდგენისთვის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს გარანტიით განსაზღვრული დოკუმენტაციის დართვას, მაშინ, როდესაც 879-ე მუხლი არაფერს ამბობს თანდართულ დოკუმენტაციაზე და მხოლოდ წერილობითი ფორმის ხსენებით შემოიფარგლება. უფრო მეტიც, ნაშრომში განხილულია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების მიერ პირდაპირაა მოთხოვნილი უპირობო და გამოუთხოვადი გარანტიების წარმოდგენა. ცხადია, რომ პრაქტიკაში ხშირად მოითხოვება ისეთი გარანტიები, რომელიც საკანონმდებლო დონეზე სსკ-თ მოწესრიგებული არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება და ნორმების განმარტება მხოლოდ სასამართლოს ვალდებულება არ უნდა იყოს და აუცილებელია სამოქალაქო კოდექსში მოხდეს უპირობო და პირობითი

გარანტიების ერთმანეთისგან გამიჯვნა. აღნიშნულს ითვალისწინებს URDG #758-ე პუბლიკაციაც.

იმ შემთხვევაში თუ უპირობო და პირობითი საბანკო გარანტიები იქნება ერთმანეთისგან გამიჯნული, აღნიშნული ხელსაყრელი იქნება როგორც ბენეფიციარისთვის, ასევე პრინციპალისთვის. ბენეფიციარის ინტერესებს ყველაზე მეტად უპირობო საბანკო გარანტიები შეესაბამება, რადგან მათ სურთ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილება ზედმეტი პროცედურების გარეშე განახორციელონ, ხოლო პრინციპალს, როდესაც ზუსტად ეცოდინება რა სამართლებრივი შედეგები შესაძლოა გამოიწვიოს ბენეფიციარისთვის უპირობო საბანკო გარანტიის წარდგენამ და აღნიშნული მკაფიოდ იქნება განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსით, შესაძლოა უფრო მეტი სიფრთხილით მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი და ბენეფიციარი ერთმანეთთან გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებიან, აქვთ ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული ნდობა და პრინციპალმა იცის, რომ ბენეფიციარი არამართლზომიერად არ მოითხოვს უპირობო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხას, შესაძლოა უპირობო საბანკო გარანტიის წარდგენა მის ინტერესებს სრულიად არ ეწინააღმდეგებოდეს. საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობითა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით აუცილებლად მიმაჩნია სსკ-ს დონეზე უპირობო და პირობითი საბანკო გარანტიების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათი მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინება.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად ბუნდოვანია არის ისეთი შემთხვევა, როდესაც საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია გარანტმა ამის შესახებ აცნობა პრინციპალსა და ბენეფიციარს და გარანტი იღებს ხელმეორე მოთხოვნას, რომელიც ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას. ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა ყველაზე მეტად შეიცავს არამართლზომიერი მოთხოვნის განხორციელების რისკებს და ყველაზე მეტად სარისკოა პრინციპალისთვის. გარანტიის დამოუკიდებელი ბუნებიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ძირითადი ვალდებულება საგარანტიო

ურთიერთობაზე ვერ ახდენს გავლენას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც პრინციპალმა კეთილსინდისიერად შეასრულა ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ბენეფიციარი ხელმეორედ ახორციელებს მოთხოვნას გარანტიის მიერ ასეთი მოთხოვნა არ უნდა ექვემდებარებოდეს გადახდას. ვფიქრობ, პრინციპალის დასაცავად აღნიშნული უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც არამართლზომიერი მოთხოვნა და გარანტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა არამართლზომიერი მოთხოვნის საფუძვლით უარი უთხრას ბენეფიციარს დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, აუცილებელია როგორც ამ ნორმის ცვლილება, ისე საერთაშორისოდ აღიარებული გამონაკლისის არამართლზომიერი მოთხოვნის არ დაკმაყოფილების გათვალისწინება სამოქალაქო კოდექსში. აღნიშნული ჩანაწერით ბენეფიციარს აქვს განუზომლად დიდი უფლებამოსილება, რაც მას შესაძლებლობას აძლევს არაკეთილსინდისიერად იმოქმედოს. იმისთვის, რომ ბენეფიციარის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებას არ ჰქონდეს ადგილი აუცილებელია აღნიშნულ ნორმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ბენეფიციარის ძალაუფლების შეზღუდვა.

როგორც ნაშრომში აღინიშნა მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის სსკ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სათანადო ფორმით, დოკუმენტაციითა და გარანტიით განსაზღვრულ ვადაში წარდგენილ მოთხოვნას. გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგარანტიო ვადის გაგრძელება ხდება, თუმცა, სსკ არც ასეთი შემთხვევების რეგულირებას ითვალისწინებს, რაც საკმაოდ პრობლემურია. უცნობია რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს საგარანტიო ვადის გაგრძელების მოთხოვნა, რა შემთხვევაშია გარანტი უფლებამოსილი გააგრძელოს საგარანტიო ვადა ან რა შემთხვევაში შეუძლია გარანტს არ დააკმაყოფილოს გარანტიის ვადის გაგრძელების მოთხოვნა. სსკ-თ გათვალისწინებული არაა ალტერნატიული მოთხოვნის „გააგრძელე ან გადაიხადე“ არსებობა და უცნობია რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა წარდგენილია გარანტიის ვადის გასვლამდე, მაგრამ თან არ ერთვის სათანადო დოკუმენტაცია. საერთაშორისო პრაქტიკაში

შესაძლებელია მოთხოვნის წარდგენის შემდეგ მოხდეს დოკუმენტაციის წარდგენაც. სსკ არაფერს ამბობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც, რაც ბევრ გაუგებრობას იწვევს. სასამართლომ შესაძლოა ყველა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულად მოახდინოს საქმის გადაწყვეტა, შესაბამისად, იმისთვის, რომ არაერთგვაროვანი პრაქტიკა არ იყოს დამკვიდრებული, საჭიროა მომწესრიგებელი ნორმების სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინება.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა შორის თანასწორობისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს ეფუძნება. მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი და გაითვალისწინონ ისეთი ნორმებით, რომელიც უშუალოდ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა არ ეწინააღმდეგება მათ. საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებშიც მრავლად შევხვდებით დისპოზიციური ხასიათის ნორმებს. ზოგ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ დისპოზიციური ნორმა იმპერატიული ხასიათის ნორმით უნდა შეიცვალოს, მაგ. რეგრესული ანაზღაურების შესახებ სსკ-ს 890-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ჩანაწერი თუ შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით „გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო“ ანუ იქნება იმპერატიული, პრინციპალი უფრო მეტად იქნება დაცული და არამართლზომიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკიც მინიმუმამდე შემცირებული.

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რაც ვფიქრობ შესაცვლელია, არის ის, რომ სსკ არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის სახეებს, როდესაც პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის გარანტიები და მათი რეგულირების წესი და ბუნება განსხვავებულია, მაგ. საავანსო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოცულობა შესაძლოა შემცირდეს პრინციპალის მიერ შესრულებული სამუშაოების პროპორციულად, რაც მხოლოდ ამ ტიპის საბანკო გარანტიებს ახასიათებს. სსკ არაფერს ამბობს გარანტიის სახეებზე და მათ თავისებურებებზე, რაც პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველია.

ვფიქრობ, პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე აუცილებელია სსკ-ს ნორმების გადახედვა და აღნიშნული ცვლილებების განხორციელება. ფაქტია, რომ პრაქტიკაში გვაქვს ბევრი ისეთი შემთხვევა, რომელიც სსკ-თ გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად აუცილებელია კოდექსი სრულად პასუხობდეს პრაქტიკაში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს და პრობლემური საკითხების რეგულირება ხდებოდეს სსკ-ს საფუძველზე და სხვა კანონქვემდებარე აქტებიც მასთან შესაბამისობაში მოდიოდეს. აღნიშნული საბოლოოდ ხელს შეუწყოს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას და შეამცირებს არაერთგვაროვან პრაქტიკას.

## ბიბლიოგრაფია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

URCG 325

URDG 458

URDG 758

კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი , ლ. ჭანტურია

სახელშეკრულებო სამართალი ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის # 28/584-14

ნინო ლიპარტია „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები“

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

საბანკო სამართალი, გაბისონია ზ.

ნინო ჭიპაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით

პ. ხოტენაშვილი საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება , საქმე #28 3772-14

გიორგი ამილახვარი , საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # ას-562-871-09

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # ას-786-1073-09



დავით ათაბეგაშვილი „საგარანტიო ვალდებულებების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითობის დაძლევის მიზანშეწონილობა“

„მართლმსაჯულება და კანონი „ ნინო ლიპარტია სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #314

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #2/36114-16

თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინება საქმე N330210116001271537

თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინება საქმე N28/5279-17

UNITED NATIONS CONVENTION ON INDEPENDENT GUARANTEES AND STAND-BY LETTERS OF CREDIT

SELECTIVE LEGAL ASPECTS OF BANK DEMAND GUARANTEES MICHELLE KELLY-LOUW

DR. FILIP DE LY - The UN Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit

K. Alawamleh – Documentary credits and Independent guarantees : A critique of the “Fraud Exception “ position in English and Jordanian law

Roy Goode Abstract Payment Undertakings in International Transactions

DCFR - Draft Common Frame of Reference

<file:///C:/Users/slashkarashvili/Downloads/4768-Article%20Text-13984-1-10-20141229.pdf>

<https://www.tradefinanceglobal.com/posts/what-is-a-bank-guarantee/>

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98>